გაზეთი ბოლოს, „ბოლოს" ერთი

ბოლოს

ფასი 50 თეთრი

№129 (1024) 26 – 28 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„შე სირო" დიდი განევ-გამოწევა პარლამენტში

გვ. 4

რა შეიცვალა სოციალური რეკლამის კანონში და რა შემთხვევაში დაკარგავენ ტელევიზიები ციცენზიას

კოტე გოგელიას შავ-ბნელი წარსული

მაესტრო-ს

სკანდალის რუსული გაზის იმპორტზე მიბმა ბლეფია?!

გვ. 5

კავშირები შაქრო კალაშოვთან, ცარიელ ფოცხვერიასა და ესპანეთის „ქართულ მაფიასთან"



„ნაგავში ვცხოვრობთ და აქაც არ გვაჩერებენ!"

გვ. 7

ყოფილ სამხედრო ჰოსპიტალში მცხოვრები ლევნიღები ალტერნატიულ ფართს ითხოვენ

„ივანიშვილი ბევრ საკითხში რესპუბლიკური პარტიის პოზიციაზეა!"

გვ. 3

ლევან ბერძენიშვილი: „ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება ჩვენ ამოცანაში არ შედის!"

SOS!!! თბილისის ცენტრში ისტორიული შენობა ნადგურდება!!!

გვ. 6

ყაჩაღური გზით წართმეულ ქონებას უცხოელ ინვესტორს არ უბრუნებენ!!!

„კაზიოლი" რუსთავის №17 დანესებულებიდან, რომელმაც ფეხი გაიპარსა და ნათია დაირქვა

გვ. 8

პატიმრის დღიური

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ვართ ბედნიერი ერი, რომ გვყავს ისეთი წინამძღვარი, როგორიც პატრიარქია!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში პატრიარქს, მთავრობისა და მხედრობის სახელით, აღსაყდრებიდან 37 წლის იუბილე მიულოცა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ილია მეორე გვაძლევს კაცთმოყვარეობის, მიტევების, სიყვარულისა და პატრიოტიზმის მაგალითს.

„მინდა, მთელი გულით და სულით, დიდი სიყვარულით მოგილოცოთ აღსაყდრებიდან 37 წლის იუბილე. ეს დღე ჩვენთვის არის ძალიან ძვირფასი. ქართველმა ხალხმა ამ 37 წლის განმავლობაში ურთულესი განსაცდელები გამოიარა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ყოველთვის ასოცირდებით ჩვენი ხალხის იმედთან და ნუგეშთან. თქვენ ყოველთვის დგახართ და იდგებით ქართველი ერის გვერდით. ჩვენ ვართ ბედნიერი ერი, რომ გვყავს ასეთი წინამძღვარი, როგორიც პატრიარქია. მე მახარებს, რომ თქვენ ყველას გვაძლევთ კაცთმოყვარეობის, მიტევების, სიყვარულისა და პატრიოტიზმის მაგალითს. მთავრობის და მხედრობის სახელით მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დღევანდელი დღე. გისურვებთ მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს. მჯერა, თქვენთან ერთად, ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გამთლიანდება“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა პატრიარქს.

მთავრობის მეთაურის თქმით, „ჩვენი ერი აუცილებლად მიხვდება, თუ რაოდენ დიდია უწმინდესის ღვაწლი ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში“.

„ინტერპრესნიუსი“

თსუ-ს პროფესორები და მეცნიერები პარლამენტს „სახელმწიფო ენის“ შესახებ კანონის მიღებას სთხოვენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერები საქართველოს პარლამენტს მიმართავენ და სთხოვენ, ხელი შეუწყოს „საქართველოს სახელმწიფო ენის" შესახებ კანონის მიღებას. პროფესორებმა და მეცნიერებმა „საქართველოს სახელმწიფო ენის“ კანონის შესახებ განცხადება გაავრცელეს. განცხადებაშია საუბარია, რომ ჩარჩო კანონის მიღება ინსტიტუციური გარანტია იქნება სახელმწიფო ენის მართვისა და გამოყენებისათვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების განცხადებთ იგი უზრუნველყოფს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ქართული და აფხაზური ენების სახელმწიფოებრივ სტატუსს — საქართველოს ერთ-ერთ ნაწილში — აფხაზეთში.

„სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის მიღებას საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ საქართველო იმ სახელმწიფოთა შორისაა, რომელთაც „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონი ჯერ კიდევ არ გააჩნიათ. იგი ამ მხრივ რეგიონის მასშტაბითაც გამონაკლისია.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი ჯერ კიდევ 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იქნა აღდგენილი, როცა შესაბამისი კანონი მიიღეს. საბჭოთა სისტემის დროს, 1978 წლის 14 აპრილს, ქართულმა საზოგადოებამ ახალგაზრდობის თაოსნობით შეძლო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შენარჩუნება. თუმცა, ბოლო ორი ათეული წელია, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი ძირითადად მხოლოდ კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი. გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან დაწყებული კანონპროექტი „სახელმწიფო ენის შესახებ“ ყველა ხელისუფლების განხილვის თემა იყო, მაგრამ ვერც ერთი მოწვევის პარლამენტმა ვერ შეძლო მისი მიღება. ამჯერადაც ფერხდება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიღება. ენათმეცნიერებისა და იურისტების ჯგუფის მიერ შემუშავებულ კანონპროექტში გათვალისწინებულია ახალი რეალიები. შესაბამისად, იგი პასუხობს ახალ გამოწვევებს. კანონპროექტმა ექსპერტიზა გაიარა ყველა შესაბამის ევროპულ ინსტანციაში. საჭიროა მხოლოდ სახელმწიფოს ნება, რათა არსებული ხარვეზი აღმოიფხვრას. ჩარჩო კანონის მიღება ინსტიტუციური გარანტია იქნება სახელმწიფო ენის მართვისა და გამოყენებისთვის. იგი უზრუნველყოფს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ქართული და აფხაზური ენების სახელმწიფოებრივ სტატუსს, საქართველოს ერთ-ერთ ნაწილში — აფხაზეთში.

ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს, გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და ხელი შეუწყოს სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტის მიღებას.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს და გაცილებით ფართო მასშტაბით გააგრძელოს ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავის მხრივ, გამოხატავს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს როგორც ამ პროგრამის განხორციელებაში, ასევე ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განმტკიცების საქმეში“, — ნათქვამია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და მეცნიერების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში 21 კომერციული ბანკია

საქართველოს საბანკო სექტორი, 2014 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, 21 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, მათ შორის 17 — საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 2 — უცხოური ბანკის ფილიალით.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.6 მლრდ ლარით ანუ 3.3 პროცენტით გაიზარდა და 19.6 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.5 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 17.6 პროცენტია.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 76.6 პროცენტი შეადგინა.

გასული თვე საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. ნოემბრის წმინდა მოგებამ 22.0 მლნ ლარი შეადგინა.

უმსხვილესი აქტივების მქონე ხუთი ბანკის წილმა საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 75.4 პროცენტი შეადგინა.

„ინტერპრესნიუსი“

თურქეთში აფხაზური კულტურის ცენტრი გაიხსნა

თურქეთის ქალაქ სამსუნში აფხაზური კულტურის ცენტრის გახსნაზე მიწვეული იყო დელეგაცია აფხაზეთიდან, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რეპატრიაციის საკითხებში ე.წ. სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლები. კულტურული ცენტრის ხელმძღვანელად ჩეტინ აჟიბა დაინიშნა. ეს უკვე მე-18 მსგავსი ცენტრია თურქეთში.

ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლებმა თურქეთში მცხოვრებ აფხაზურ დელეგაციასთან არაოფიციალური შეხვედრებიც გამართეს.

„ინტერპრესნიუსი“

ავღანეთში ქართველი მოსწავლეების წერილები ჩავიდა

ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების V ქვეითი ბრიგადის 51-ე ბატალიონის სამხედროებს მოსწავლეებმა წერილები გაუგზავნეს. საქართველოს მასშტაბით 26 საჯარო სკოლის მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეების სახელით ქართველმა სამხედროებმა 1400 წერილი მიიღეს.

საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველმა სამხედროებმა თბილი წერილებისთვის პატარა მეგობრებს მადლობა გადაუხადეს და საპასუხო წერილების გამოგზავნას დაპირდნენ.

საქართველოს თავდაცვის, იუსტიციისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივი პროექტის ფარგლებში, თბილისისა და საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეები ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს წერილებს წერენ. პროექტის მიზანი, სამშობლოდან შორს მყოფი მებრძოლებისთვის თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვაა. პროექტს დანაშაულის პრევენციის ცენტრი სტუდენტებთან ერთად 2012 წლიდან ახორციელებს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

შსს ომბუდსმენს პასუხობს

„გამოვხატავთ რა პატივისცემას ომბუდსმენის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი ეროვნული ინსტიტუტისადმი და ვაფიქსირებთ მზაობას თანამშრომლობისთვის, საჭიროდ მიგვაჩნია, ანგარიშვალდებული ვიყოთ სახალხო დამცველისა და საზოგადოების წინაშე და გავცეთ პასუხები ჩვენი უწყების მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს“, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებში, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ.

2014 წლის 23 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული მიმართვა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ უახლეს მდგომარეობას არ ასახავს, ასევე არარეალურია მასში დაფიქსირებული მოლოდინი პრობლემის დაძლევის მიმართ. კერძოდ:

1) მინისტრს პირად კონტროლზე უკვე ჰყავს აყვანილი ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე კანონით განსაზღვრული მექანიზმების გამოყენების საკითხი, რასაც ადასტურებს შსს-ს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე; ასევე მინისტრის №726 ბრძანება ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების კომისიის შექმნაზე და მინისტრის 2014 წლის 9 დეკემბრის №45 მითითება „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრების შესახებ“, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიულ ორგანოების მიერ შემაკავებელი ორდერების გამოცემის საკითხი;

2) უფლებამოსილ თანამშრომლებს არათუ განემარტათ საკითხის სენსიტიურობა, არამედ შსს ტერიტორიული ორგანოებიდან მოხდა თანამშრომლების (ქალი და მამაკაცი პოლიციელების შემადგენლობით) მომზადება და იდენტიფიცირება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების მიზნით. ასევე, ტარდება პოლიციელთა ტრენინგები ამ მიმართულებით, რომელიც უკვე 500-ზე მეტმა უბნის ინსპექტორმა გაიარა;

3) შემაკავებელი ორდერების გამოყენების ყოველთვიური მაჩვენებელი ბოლო 11 თვის მანძილზე 2 ერთეულიდან 145 ერთეულამდე გაიზარდა; ხოლო 2014 წელს ოჯახში ძალადობის რეგისტრირებული შემთხვევების 74% უკვე გახსნილია და დამნაშავეები პასუხისგებაში არიან მიცემულნი;

4) ძალადობის პრევენციის მიზნით მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია და შექმნილია ცხელი ხაზი;

5) შს სამინისტრო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით მუშაობს ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სრული დატვირთვით მუშაობს ძალადობის პრევენციის და ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის განვითარებული ქვეყნებისთვისაც, სადაც 2014 წელს ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად (იხ.http://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2014-vaw-survey-main-results-apr14_en.pdf) 15 წელზე უფროსი ქალების საშუალოდ 33% სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლია. ასევე, ნიშანდობლივია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ეგიდით გენდერული ურთიერთობების სფეროში ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც ჩანს პრობლემის კომპლექსური ხასიათი და მრავალი შემადგენელი, რომლის სრულად მოგვარების მოლოდინი მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა იქნებოდა.

„ვერსიანიუსი“

რუსუდან შელია
557-100-768

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ რესპუბლიკელები კოალიციაში ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებენ, თუმცა „ვერსიასთან“ საუბრისას რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი საპირისპიროზე ანუ კოალიციაში რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაზე მიანიშნებს. ვინ ცდილობს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებას და ებრძვიან თუ არა რესპუბლიკელები ქართულ ტრადიციებსა და ეროვნულობას? — „ვერსიასთან“ საუბრისას ლევან ბერძენიშვილი ყველა ბრალდებას პასუხობს.

„ივანიშვილი ბევრ საკითხში რესპუბლიკური პარტიის პოზიციაზეა!“

ლევან ბერძენიშვილი: „ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება ჩვენ ამოცანაში არ შედის!“

— ბატონო ლევან, საუბარი ბოლო დღეების მოვლენებით დავიწყოთ — თქვენი აზრით, რუსული ძალები რატომ გააქტიურდნენ და ამაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება?

— ბატონი ხუბუტიას საქართველოში ჩამოსვლა და „მაესტროში“ განვითარებული მოვლენები მიგვანიშნებს, რომ რუსული ინტერესები მართლაც გააქტიურდა, თუმცა ეს ინტერესი საქართველოში მივიწყებული არასოდეს ყოფილა — რუსეთი, როგორც წესი, მეხუთე კოლონას მაშინ ააქტიურებს, როცა უჭირს, მაგრამ ასეთ ქმედებებზე ქართველ ხალხს ყოველთვის ადეკვატური პასუხი აქვს. კოალიციაშიც რუსული ინტერესების დამცველი არავინ მეგულება.

— არც პარლამენტში? სხვათა შორის, კოალიციის წევრია გოგი თოფაძეც, რომელიც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას დღემდე არ ემხრობა.

— უმრავლესობაში ასეთი, შესაძლოა, ერთი-ორი ყოფილი ნაციონალია, მაგრამ ისინი კოალიციას არ წარმოადგენენ. გოგი თოფაძეს კი ხელი ყველა დოკუმენტზე აქვს მოწერილი, სადაც ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზეა საუბარი... ბატონი ხუბუტიასა და „მაესტროს“ ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ინტერესები კი ნათელია, მაგრამ არც ქართველი ხალხის გონებაა ბნელი.

— რამდენიმე წლის წინ, მიხეილ ხუბუტია და მისი თანამოაზრეები საქართველოში ვერ ჩამოდიოდნენ. ახლა კი, ნაციონალები ამბობენ, მათ მწვანე შუქი ხელისუფლებამ აუნთო...

— არა, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში მეტი თავისუფლებაა. ყველას შეუძლია, საკუთარი აზრი ღიად გამოხატოს. ადამიანს უფლება აქვს, პრორუსიც იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამშობლოს ღალატობს. ეს ხალხი პოლიტიკურად არ მომწონს, მაგრამ ფიქრს ვერავის დავუშლი. ძველ საბერძნეთში საზოგადოების ნაწილი მაკედონიის მომხრე იყო, მეორე ნაწილი კი ეწინააღმდეგებოდა. ამ დაპირისპირებაში არისტოტელეც გახლდათ ჩართული, მაგრამ მის დიდ ადამიანობაში ეჭვი არავის შეუტანია. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ბატონ ხუბუტიას არისტოტელეს არ ვადარებ, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში ლაპარაკი შეიძლება. შესაძლოა, ხელისუფლებამ ბევრს ვერაფერს მიაღწია, მაგრამ ის შედეგი მაინც გვაქვს, რომ ერეკლე მეორის საზოგადოება უშიშრად ლაპარაკობს.

— თქვენი მიზანი ეს იყო?

— თავისუფლების ხარისხზე ვსაუბრობ... ასევე ვიღაც სადღობელაშვილი რესპუბლიკურ პარტიას ლანძღავს. ვერ დავადგინეთ, ვინაა ეს კაცი და რა კავშირი აქვს კოალიციასთან.

— ეჭვი გაქვთ, სადღობელაშვილს თქვენ ლანძღვას კოალიცია ავალებს?

— ეს ადამიანი ვისი მხარდამჭერიც უნდა იყოს, ცუდად იქცევა, მაგრამ ქვეყანას ნამდვილად არ აქცევს. ამის გამო არც კოალიციაში შევქმნით პრობლემებს. წერა-კითხვის უცოდინარი სადღობელაშვილი რას იტყვის, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ქართველი ხალხის მისწრაფება მარტივი გამოსაცვლელი არ არის. თუ ვინმეს ჰგონია, პროპაგანდით ადამიანს გიტარას შეაძულებ და ბალალაიკას შეაყვარებ, ამ ადამიანების ტვინში ჩახედვაც მეზარება. ზედმეტი წარმოდგენა ნურავის ექნება. რაც თავი მახსოვს, გვლანძღავენ, მაგრამ რესპუბლიკელები სოლიდური ძალა ვხდებით. ქართველი ხალხი მიიჩნევს, რომ დავით უსუფაშვილი საკუთარ თანამდებობას ყველაზე უკეთ შეესაბამება.

— რა არის რესპუბლიკური პარტიის მიზანი, მართლა პრემიერის წინააღმდეგ შეთქმულებისთვის ემზადებით?

— ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება ჩვენ ამოცანაში არ შედის, მაგრამ ყველა შეცდომაზე ღიად ვისაუბრებთ. ჩვენ მიგვითითეს კიდეც, იქნებ კოალიციიდან წახვიდეთო, მაგრამ კოალიციის დასატოვებლად სხვისი მითითება არ გვჭირდება. თავად წავიდნენ!

— კოალიციის დატოვება ვინ „გირჩიათ“?

— კონკრეტულ ადამიანზე მითითება რომ მინდოდეს, დიდი ხნის წინ დავასახელებდი. ბავშვი არ ვარ და ისედაც ყველას ესმის, რომ ვიღაცებისთვის კოალიციიდან რესპუბლიკური პარტიის გასვლა დიდი სიკეთეა. მაგალითად, ასეთ შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი გათავისუფლდება, რომელზეც შესაძლოა, ვიღაც ოცნებობს.

— არც პარლამენტის თავმჯდომარეობაზე მეოცნებეს დაასახელებთ?

— არა, მაგრამ შესაძლოა, ეს თანამდებობა ვიღაცას კოალიციაში ესიზმრება. ეს ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტის გამოვლინებაა. ამ შემთხვევაში ჩვენ პარტნიორებს არ ვგულისხმობ და ამაზე კოალიციაში სერიოზული მსჯელობაც არ ყოფილა. ზოგადად, გუნდურობა ბრბოს ნაწილად ყოფნას არ ნიშნავს. განვაცხადეთ, რომ თავდაცვის სამინისტროს განცხადება მცდარი იყო, მოგვიანებით, ირაკლი ღარიბაშვილმაც იგივე განაცხადა. ეს პრემიერის წინააღმდეგ მიმართული განცხადება არ ყოფილა, პირიქით, თავად თავდაცვის სამინისტრომ იმოქმედა ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, ეს უნებლიეთ მოხდა და არა განზრახ, რადგან თავდაცვის მინისტრი უშიშროებიდან პირდარპი საჯარო სამსახურში აღმოჩნდა და აზრზე არ არის, რას ნიშნავს სტატუსი — საჯარო მოხელე. ასეთ ვითარებაში რა უნდა გვეთქვა, დაღუპული გმირი არ არის და საერთოდ, გმირები გვეზიზღება-თქო?! ვინც ეს ტექსტი დაწერა, საერთოდ, ნორმალურია? მეც მყავს სტუდენტები, რომლებიც რაღაცას წერენ, მაგრამ შინაარსის აზრზე არ არიან... ასეთი ლათინური გამონათქვამი არსებობს: შეცდომა ადამიანურია, შეცდომაში გაჯიუტება — სიბრიყვე. მინდა, ეს გამოთქმა თავდაცვის მინისტრმა კარგად გაიგოს, ნუ გაჯიუტდება! შეცდომას ვაპატიებთ, სიბრიყვეს — არა!

— ამ განცხადების გამო თავდაცვის მინისტრი, როგორც ითქვა, უხერხულობასაც არ გრძნობს. მის გადადგომას თქვენც ითხოვთ?

— ადამიანმა შეცდომა უნდა გამოასწოროს. საქართველოში შეუმცდარი მინისტრი არავინაა და გამოდის, ყველა უნდა გადადგეს. კონტრაბანდული ტელეფონების ჩუქება კარგია? ხადურიც არ მოიქცა სწორად, მასაც აქვს ბოდიში მოსახდელი, მაგრამ ამ საქმეს ბოდიშისმოხდაც არ შველის. ტელეფონები სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს! შეცდომაზე მითითება კარგია. არ მახსოვს შეცდომა, რომელიც რესპუბლიკელებს ვინმემ გვაპატია. მეტიც, როცა არ ვცდებით, მაშინაც გვეუბნებიან, ცდებითო.

— ბატონო ლევან, დიდი ხანია, ეროვნულობისა და ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლი პარტიის იარლიყი გაქვთ; მეტიც — გარკვეულ ჯგუფს თქვენი პროდასავლური იმიჯის არ სჯერა და ამტკიცებს, რომ წლების წინ „კაგებემ დაგაკერბოვკათ“.

— რამდენიმე დღის წინ, პარლამენტის შენობაში შესვლისას, იპოთეკარებმა მომაძახეს, რა უნდა ელაპარაკო ამას, ეს ქართველობას ებრძვისო... როცა ადამიანი სახელმწიფოსგან ან ვიღაც კონკრეტული ადამიანისგან ნასესხები ფულის პატიებას ითხოვს, ეს საქართველოს აშენებასთან ან დაქცევასთან რა კავშირშია, თუმცა საკუთარი შეცდომის რესპუბლიკური პარტიისთვის დაბრალება, ადვილია. სიმართლე გითხრათ, მათი სიტყვები მეწყინა, მაგრამ იმასაც შეგუებული ვარ, რომ ასეთი თანამდებობა გვაქვს და ზოგჯერ ლანძღვის მოსმენაც მომიწევს...

რაც შეეხება, რუსულ სპეცსამსახურებს, რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი, სრული შემადგენლობით, საქართველოს სიყვარულის გამო რუსულ ციხეში ვისხედით.

— ამბობენ, რომ ციხეში დიდხანს არ ყოფილხართ და ძმის წინააღმდეგ ჩვენება მიეცით...

— რაც უნდათ, ის თქვან! ვინც ამას ამბობს, გამაგებინეთ, კაცო, რუსეთის ინტერესით რუსულ ციხეში რატომ ჩამსვამდნენ? საკანში 1095 დღე გავატარე! ელიზბარ ჯაველიძის კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევ, ის ტიპური საბჭოთა მოვლენაა. ძველბიჭ-პროფესორ-კომუნისტი ელიზბარ ჯაველიძე! ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ ადამიანებს, მაგრამ ისინი სულ რომ შუაზე გასკდნენ, საქართველოს მოსახლეობის 10%-ზე მეტზე გავლენას ვერასოდეს მოახდენენ. ასეთი 10%-ის საზოგადოებაში არსებობა კი ბუნებრივი მოვლენაა. თუ, როგორც თავად ამტკიცებენ, მთელი საქართველო მათ მსგავსად ფიქრობს, რატომ ვერ იმარჯვებენ არჩევნებში და როგორ აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტში 150 დასავლური კურსის მიმდევარი დეპუტატი? ილუზიებში ნუ არიან!

— ბევრი პარლამენტში ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტის გამო აღმოჩნდა. თქვენ თუ შეძლებთ დამოუკიდებლად იგივე მაჩვენებლით პარლამენტში შესვლას?

— არჩევნებში ვინ რა შედეგს მიიღებს, ამის თქმა მხოლოდ არჩევნების შემდეგაა გამართლებული. ვისაც საქართველოს ევროპასთან დაახლოება არ უნდა, ის არჩევნებს ვერასოდეს მოიგებს, თუმცა შესაძლოა, ერთი ან ხუთი დეპუტატი გაიყვანოს.

— ბიძინა ივანიშვილის დღესაც გჯერათ?

— ბიძინა ივანიშვილი ბევრ საკითხში მართლაც, რესპუბლიკური პარტიის პოზიციაზეა. ის იდეურად ლიბერალურ პარტიებთან ახლოსაა, მაგრამ იდეების გარდა, სხვა საკითხებიც ხომ არსებობს?! ის სხვა პარტიას ხელმძღვანელობს.

— ადასტურებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ საქმიანობაში დღესაც ერევა?

— ეს პარტია მისი შექმნილია, შესაბამისად, ავტორიტეტიც აქვს. თანაც პარტიის ხელმძღვანელობას მას კანონი არ უკრძალავს. ისე, ბიძინა ივანიშვილი დღეს პოლიტიკაში ისე არ არის ჩართული, როგორც აბრალებენ. უმჯობესი იქნება, პოლიტიკაში უფრო აქტიურად ჩაერთოს.

— რატომ ?

— სხვებისგან განსხვავებით, საკითხი გაცილებით კარგად ესმის და ამიტომ. ლიბერალურ საკითხებში ის მთელ კოალიციაში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ადამიანია. სხვა მხრივ, როგორ შეიძლება მე და ბიძინა ივანიშვილს ერთი აზრი გვქონდეს, ის მილიარდერია, მე — პროფესორი. განსხვავებული ხალხი ვართ, მე ხელფასზე დამოკიდებული კაცი ვარ, ის — დივიდენდებზე. ბუნებრივია, მისი ხედვაც სრულიად განსხვავებულია.

— ერთი მილიონი თქვენც კი მიიღეთ, მაგრამ რაზე გიკამათიათ ბიძინა ივანიშვილთან, მხოლოდ ფინანსურ საკითხზე?

— მხოლოდ ისეთ საკითხებზე, სადაც ჩვენი ხედვები განსხვავებული ბუნებრივად უნდა იყოს. კოალიციაში იმის გამო ვართ და არა პარტიაში, რომ სხვადასხვა აზრის ქონის საშუალება გვაქვს.

ვერსიანიუსი

კიევში უმაღლესი რადას დეპუტატებს ხელყუმბარა ესროლეს

კიევში, სასტუმრო „კიევთან“ ახლოს, უცნობმა პირმა უმაღლესი რადას დეპუტატებს ხელყუმბარა ესროლა. უკრაინული მედიის ცნობით, ახალგაზრდა მამაკაცმა დეპუტატებს ყუმბარა ფეხებში ესროლა. დეპუტატებს შორის იყო უმაღლესი რადას თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი პარუბიც.

ეჭვმიტანილმა ასევე ხელყუმბარა ესროლა მილიციელებს, რომლებიც მის დაკავებას შეეცადნენ. დაშავებულია ერთი მილიციელი.

უკრაინული მედიის ცნობით, ეჭვმიტანილმა მიმალვა შეძლო.

„ინტერპრესნუსი“

პარტია „ქართულ ოცნება — დემოკრატიულ საქართველოში“ შესაძლოა, აღმასრულებელი მდივნის პოსტი გაუქმდეს

როგორც ჟურნალისტებს პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა, არმაზ ახვლედიანმა განუცხადა, აღმასრულებელი მდივნის მოვალეობას რეალურად გენერალური მდივანი ფარავს.

„როგორც იცით, „ქართულ ოცნებას“ ჰყავს გენერალური მდივანი, აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა კი ჩვენს პარტიაში რამდენიმე თვის წინ შემოვიდა. მე ვერ ვხედავ აღმასრულებელი მდივნის პოსტის დაბრუნების აუცილებლობას, თუკი გენერალურ მდივანს ექნება შესაძლებლობა, სრულად ჩაერთოს პარტიულ საქმიანობაში. გენერალური მდივანი რეალურად ფარავს ამ თანამდებობას, შესაბამისად, აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რა თანამდებობები იქნება და რა ერქმევა, არამედ ის, როგორც ვიმუშავებთ და რას გავაკეთებთ“, — განაცხადა არმაზ ახვლედიანმა.

აღმასრულებელი მდივნის პოსტი „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოში“ რამდენიმე თვის წინ შეიქმნა და იგი პრემიერ-მინისტრის ნათესავმა, ზვიად ჯანყარაშვილმა დაიკავა, თუმცა მან თანამდებობა მალევე დატოვა. პარტიის გენერალური მდივანი ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძეა.

„ინტერპრესნუსი“

„შე სირო“ — დიდი გაწევ-გამოწევა პარლამენტში

რა შეიცვალა სოციალური რეკლამის კანონში და რა შემთხვევაში დაკარგავენ ტელევიზიები ლიცენზიას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რეკლამის კანონში ცვლილებების განხილვა პარლამენტში სულ „შე სირო“-ს ძახილის ფონზე მიმდინარეობს — მართალია, დიდი ცემა-ტყეპის მოწმენი არ გავხდით, მაგრამ „რუსთავი 2“-ის გენდირექტორმა უმრავლესობის წევრს, „სოციალისტ“ გია ჟორჟოლიანს საკომიტეტო მოსმენისას მხოლოდ სიტყვა კი არ გააწყვეტინა, არამედ უწმაწურადაც მიმართა და შესთავაზა, თუ მაგარი ბიჭი ხარ, წამო, გარეთ გავიდეთო... ასე იყო თუ ისე, სოციალური რეკლამის შესახებ კანონში ცვლილებები უკვე დამტკიცებულია, კომერციული რეკლამის პაკეტს კი პარლამენტი ახლა განიხილავს. სამკანონიან პაკეტს, რომელიც სამ — „მაუწყებლობის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონს აერთიანებს, მხარი ნაციონალებმა და რესპუბლიკელებმა არ დაუჭირეს. ამასთან, არც არასამთავრობოებმა მოიწონეს. არადა, კანონში, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ახალი თითქმის არაფერია. საპარლამენტო მომხსენებელი იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე ბარამიძე იყო, რომელსაც დამატებითი განმარტებები არ გაუკეთებია. კიდევ ერთი პაკეტი კი, რომელიც პარლამენტში წინადადების სახით 18 დეკემბერს შევიდა, კომერციული რეკლამის განთავსების ახალ რეგულაციებს ეხება. ტელევიზიები მზად არც ამ ცვლილებებისთვის აღმოჩნდნენ.

პაკეტი, რომელიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა და ზურაბ ტყემალაძემ წარადგინეს, მიზნად საეთერო სივრცეში სარეკლამო ბადის მოწესრიგებას ისახავს ანუ კომერციული რეკლამის განთავსების ახლებური საათობრივი ლიმიტი წესდება, რომლის მიხედვითაც, კომერციული რეკლამა საათში, მაქსიმუმ, 15 წუთს უნდა შეადგენდეს. ახალი ამბების შეწყვეტა კი, მხოლოდ ნახევარ საათში ერთხელ შეიძლება. რეკლამით, ან ტელეშოპინგით არ შეიძლება შეწყდეს საბავშვო პროგრამა, რომელიც 30 წუთზე ნაკლებია, ხოლო თუ 30 წუთზე მეტია, რეკლამით შეიძლება, მხოლოდ 30 წუთში ერთხელ გაიჭრას. კანონი იგივე რეგულაციას აწესებს მხატვრული ფილმებისთვისაც. პარლამენტი და კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ამ ცვლილებებს ევროკავშირის დირექტივებს უკავშირებენ, თუმცა ტელეკომპანიების წარმომადგენლების თხოვნით, კანონპროექტის მიღება-ამოქმედების ვადები მომავალი წლისთვის გადაიწევს. რაც შეეხება გვარამია-ჟორჟოლიანის ზემოხსენებულ ინციდენტს, შეხლა-შემოხლის საბაბი გვარამიას მოთხოვნა გახდა, ყველა ტელევიზია თანაბარ მდგომარეობაში ჩადგესო. საკომიტეტო მოსმენაზე ისიც ითქვა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ბიუჯეტიდან საერთოდ არ უნდა ფინანსდებოდეს.

არანაკლები აჟიოტაჟი მოჰყვა სამივე მოსმენით დამტკიცებულ იმ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც სოციალურ რეკლამას დაარეგულირებს. აქ საინტერესო რამდენიმე დეტალია: ტელევიზიებს ადმინისტრაციული ორგანოებისთვის სარეკლამო დროის მიყიდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებათ, თუ ყოველ სამ საათში წუთნახევრიან უფასო საეთერო დროს სოციალური რეკლამებს დაუთმობენ. ყველაზე დიდ დავას კერძო ტელევიზიების ფინანსური ზარალი და „სოციალური რეკლამის“ განმარტება იწვევს. არადა, კანონში ცვლილებები სწორედ ამ განმარტების დასაზუსტებლად შევიდა. კანონის მიხედვით, მაუწყებლებმა სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად, 3 საათში, ჯამში, მინიმუმ, 90 წამი ანუ წუთნახევარი უნდა დაუთმონ. კითხვის ნიშნებს იწვევს ჩანაწერი, რომ მსგავსი ინიციატივით სარგებლობა ადმინისტრაციულ ორგანოებსაც შეუძლიათ. თუ რომელიმე არხი და რეკლამის დამკვეთი ვერ შეთანხმდებიან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიწოდებული მასალა სოციალური რეკლამაა თუ არა, ანუ ეს მასალა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას რამდენად შეიცავს, მაშინ დავაში კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია ჩაერთვება და საკითხს 10-დღიან ვადაში გადაწყვეტს.

„საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისკენ, საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ, მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა ან საზოგადოების ქცევის პოზიტიურად შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არაა კომერციული, წინასაარჩევნო და არ შეიცავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას“ — „სოციალური რეკლამის“ ეს განმარტება გაუგებარი აღმოჩნდა როგორც საპარლამენტო ოპოზიციისთვის, ისე ტელევიზიებისთვისაც. ბევრისთვის სოციალური რეკლამის სტატუსის დადგენაში კომუნიკაციების კომისიის ჩართვაც მიუღებელია; ასევე მიუღებელია, რომ უფასო რეკლამის გაშვებისთვის მაუწყებლები მაინც დაიბეგრებიან — საგადასახდო კოდექსით, მაუწყებლები უფასო მომსახურების გაწევის შემთხვევაშიც, ვალდებულები არიან, პროდუქტის თვითღირებულების დამატებითი ღირებულის გადასახადი გადაიხადონ! საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, ნათია კუპრაშვილის თქმით, ცვლილებები მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების საჭიროებებზეა მორგებული. სოციალური რეკლამის ეთერში გაშვება მაუწყებლისთვის ფინანსური ზარალის მომტანი რომაა, ამის შესახებ ტელეკომპანია „მაესტრომაც“ განაცხადა. მისი იურისტის თქმით, მაუწყებლებში სოციალური რეკლამის განთავსება ფასიანი უნდა იყოს, რადგან ტელეკომპანიები შემოსავლებზე არიან ორიენტირებულნი და სოციალური რეკლამისთვის დროის ჩუქებით შემოსავალს კარგავენ. „რუსთავი 2“-ის გენდირექტორი ნიკა გვარამია კი მიიჩნევს, რომ კანონში სოციალური რეკლამის განმთავსებლებს შორის სახელმწიფო უწყებები უნდა გამოირიცხოს. „კავკასიის“ ერთ-ერთი წამყვანისა და მფლობელის, ნინო ჯანგირაშვილის თქმით, ახალი კანონი შესაძლოა, „ცუდი მიზნებისთვის შემუშავდა“.

ზემოხსენებულ გაუგებრობებზე „ვერსიამ“ კითხვებით იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, **ალექსანდრე ბარამიძეს** მიმართა, რომელსაც პარლამენტში დამატებითი კომენტარები აღარ გაუკეთებია.

— ბატონო ალექსანდრე, საკანონმდებლო პაკეტში არსებული ნორმები აქამდეც მოქმედებდა. ცვლილებების არსი რა არის?

— მიღებული ცვლილებების მიზანი მოქმედ კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაა, რაც უპირველესად, სოციალური რეკლამის ძველ განმარტებას ეხება, რომლის მიხედვით, სარეკლამო რგოლს, ერთდროულად, ორი პირობა უნდა დაეკმაყოფილებინა: მიმართული ყოფილიყო „საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა“ და „საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ“. ამ მეტისმეტად ვიწრო განსაზღვრებით, ანტინარკოტიკული, დისკრიმინაციის, ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, სარეკლამო კლიპები თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ და ა.შ. სოციალურ რეკლამად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან ე.წ. ქველმოქმედების კომპონენტი არ ფიგურირებდა.

— ტელემედია ახალ განმარტებასაც ბუნდოვანს უწოდებს. აგვიხსენით, კონკრეტულად, რა ტიპის რეკლამის უფასოდ განთავსებაა სავალდებულო და იქნება თუ არა ეს სახელმწიფო უწყებების მიერ შეკვეთილი რგოლები?

— ცვლილებათა პაკეტი მაუწყებლებისთვის დამატებით ვალდებულებას არ შექმნის. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში აქამდე იყო მუხლი, რომელიც ყველა, მათ შორის, კერძო მაუწყებელს, 3 საათში ერთხელ, არანაკლებ 90 წამის სოციალური რეკლამისთვის დათმობას ავალდებულებდა. ამ 90 წამიდან 10 კი ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას უნდა ეთმობოდეს. ცვლილებათა პაკეტი უკვე არსებულს აზუსტებს და სარედაქციო დამოუკიდებლობას არაფრით ზღუდავს! არხებს, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში, შეუძლიათ, აირჩიონ რეკლამის რომელი განმთავსებლის სოციალური რეკლამა გაუშვან. ამ ცვლილებებით, სოცრეკლამად არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამა, რომელიც კომერციული ან წინასაარჩევნოა, შეიცავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას. შესაბამისად, ეს პაკეტი გამორიცხავს კანონის გამოყენებას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რეკლამირებისთვის, მით უმეტეს, წინასაარჩევნოდ. ახალი რედაქციითვე, ტერმინი „სოციალური რეკლამა“ მთლიანად გამორიცხავს მასში პოლიტიკური კომპონენტის არსებობას.

წულუკიანის მოადგილე „ვერსიასთან“ საუბრისას იმასაც აზუსტებს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში მსგავსი ჩანაწერი პირველად 2005 წელს გაჩნდა და მას მერე მოქმედებს, ახალი პაკეტი კი მხოლოდ ძველის უკეთესი ვარიანტია. „ვერსია“ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, **ვახტანგ აბაშიძესაც** ესაუბრა.

— მიუხედავად იმისა, რომ კანონში მსგავსი რეგულაციები 2005 წლიდან დევს, არხების მეპატრონეები მაინც მიიჩნევენ, რომ ეს კანონი ფინანსურად დააზარალებთ. აქამდე კანონის მოთხოვნა არ სრულდებოდა?

— საკანონმდებლო პაკეტი უკვე დამტკიცებულია, ამიტომ, ამ ეტაპზე, მასში ცვლილებები ვერ შევა. თავადაც აღნიშნეთ, რომ ჩანაწერი მაუწყებლობის შესახებ კანონში უკვე არსებობდა, ამიტომ ცოტა გაუგებარია, ტელევიზიებმა დამატებით რა ფინანსური ზიანი უნდა მიიღონ. სხვა თემაა, ეს რეგულაცია კერძო ტელევიზიებსაც უნდა ეხებოდეს თუ მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს, თუმცა ამაზე მსჯელობაც დასრულებულია. ახალ კანონში სიახლე ისაა რომ აქამდე სოციალური რეკლამის განთავსება-გაშვება შიდარეგულაციის საკითხი იყო, ახლა კი ამ თემაზე მსჯელობაში მარეგულირებელი კომისია მხოლოდ მხარეთა შორის დავის შემთხვევაში ჩაერევა. მიღებული ცვლილებითვე, კანონში სოციალური რეკლამის ახალი დეფინიცია რჩება.

— ტელევიზიებს სწორედ ის არ მოსწონთ, რომ დავაში საბოლოო სიტყვა კომისიას ეკუთვნის.

— აქამდე არ ყოფილა პრეცედენტი, ორი მხარე — არხი და დამკვეთი ვერ შეთანხმებულიყო, რომელი რეკლამა ჩაითვალოს სოციალურად და ბადეში განთავსდეს. ჩვენი ჩართვა და საკითხის 10-დღიან ვადაში განხილვა მხოლოდ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოხდება. მესმის, რომ მსჯელობის საგანი მომავალში შეიძლება ისიც გახდეს, მსგავსი დავები კომისიამ უნდა განიხილოს თუ არა, თუმცა ამ ეტაპზე, კანონი მიღებულია, თემა — დახურული.

— ბატონო ვახტანგ, სარეკლამო ბადის ქრონომეტრაჟის გაკონტროლებას როგორ აპირებთ ანუ ტექნიკურად, ვინ და როგორ უნდა დათვალოს, სრულდება თუ არა კანონის მოთხოვნები და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, რა სანქციებია დაწესებული?

— ამის დანახვა ძალიან მარტივია — არხზე რეკლამა გადის თუ არა და რა ტიპისაა. რაც შეეხება სანქციებს, ეს კანონში აქამდეც იდო და ბუნებრივია, ახლაც დევს: დარღვევის შემთხვევაში, სანქცია, პირველ ჯერზე, გაფრთხილება იქნება, მეორე ჯერზეც გაფრთხილება, კანონის მესამედ დარღვევის შემთხვევაში, ფინანსური სანქცია ამოქმედდება, შემდგომ დარღვევაზე კი საქმე შესაძლოა, ლიცენზიის შეჩერებამდეც მივიდეს.

P.S. ისე, ცოტა ხანში, შესაძლოა, უფრო საინტერესო და დაძაბული მოვლენების მომსწრენი გავხდეთ, რადგან „რუსთავი 2-“ის გენდირექტორის, ნიკა გვარამიას თქმით, სულაც არ აპირებს, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შეკვეთილ რეკლამებს საეთერო დრო უფასოდ დაუთმოს. კანონი კი, სანქციათა შორის, როგორც ირკვევა, ლიცენზიის შეჩერებასაც ითვალისწინებს...

ვერსიანიუსი

პოლიციის თანამშრომლები კონფლიქტის ზონის სოფლების შეჭირვებულ ოჯახებს ესტუმრნენ

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს საქართველოს რეგიონებში მცხოვრები სიღარიბის ზღვარსმიღმა მყოფი ოჯახების დასახმარებლად მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებულ საქველმოქმედო აქციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ვასილ ბახტურიძესთან ერთად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ 60-მდე ოჯახს ეწვივნენ. სამართალდამცველები მოსახლეობას კონფლიქტის ზონის სოფლებში არსებულ პრობლემებზე ესაუბრნენ, ბედნიერი დამდეგი ახალი წელი უსურვეს, სურსათი და სხვადასხვა დასახელების პროდუქტი გადასცეს.

საქველმოქმედო აქციის მიზანია ზამთრის პერიოდში, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

„ვერსიანიუსი“

„მაესტროს“ სკანდალის რუსული გაზის იმპორტზე მიბმა ბლეფია?!

კოტე გოგელიას შავ-ბნელი წარსული — კავშირები შაქრო კალაშოვთან, ტარიელ ფოცხვერიასა და ესპანეთის „ქართულ მაფიასთან“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებული მოვლენები რუსული გაზის საქართველოში იმპორტსა და ტელეკომპანიის ერთ-ერთი მფლობელის, კოტე გოგელიას ბიზნესინტერესებს დაუკავშირეს. მედიაში გავრცელებული ვერსიით, თუ საქართველოში რუსული გაზი შემოვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „მაესტრო“ კოტე გოგელიას ამ ბიზნესს შეეწირა. „ვერსიამ“ ეს მოარული ხმები გაზის ექსპორტსა და რუსეთიდან ბუნებრივი აირის ტრანზიტის სქემაში კარგად ჩახედულ ექსპერტებთან გადაამოწმა.

„გაზის ომის“ სკანდალური ვერსია

მედიაში გავრცელებული ვერსიით, რუსეთის ერთ-ერთმა სპეცსამსახურმა „ფეესბემ“ საქართველოში საკუთარი საყრდენი „მაესტროს“ ერთ-ერთი მფლობელის, კოტე გოგელიას სახით მოძებნა. ამავე ვერსიით, „ფეესბეს“ კოტე გოგელია რუსული ფულის გასათეთრებლად და საკუთარი იდეოლოგიის გასატარებლად დასჭირდა. ამ მიზნით, კოტე გოგელია რუსული გაზის საქართველოში ტრანზიტის სქემაში ჩასვეს.

ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, კონკრეტულად, ენერგეტიკის სამინისტრომ ყაზახებთან ურთიერთობა დაალაგა და შედეგად, „ყაზტრანსგაზთბილისის“ მენეჯმენტში ისევ ყაზახები დაბრუნდნენ. გავრცელებული ვერსიით, ახალი წლიდან ყაზახები რუსული გაზის იმპორტს დაიწყებენ, რომელსაც „ყაზტრანსგაზთბილისის“ საშუალებით, დედაქალაქის მოსახლეობას მიაწვდიან. გაზის განაწილების ამ სქემაში კი კოტე გოგელია აღმოჩნდა, რომელიც „ფეესბეს“ თხოვნით, რუსულმა „გაზპრომმა“ ჩასვა. ამ ვერსიით, „მაესტროს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თავისი კომპანიის საშუალებით, რუსული გაზი, რუსეთიდან საქართველოს საზღვრამდე უნდა შემოიტანოს, რომელსაც „ყაზტრანსგაზთბილისს“ მიაწვდის.

ერთი შეხედვით, სქემა მარტივია — კოტე გოგელია რუსულ გაზს შემოიტანს, მისი კომპანია რუსული ფულის გამტარი და გამთეთრებელი იქნება. რუსეთის სახელმწიფოს იდეოლოგიას კი ტელეკომპანია „მაესტროს“ საშუალებით გაატარებს და „ფეესბეს“ ძირითადი საყრდენი გახდება.

ამ ვერსიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ტელეკომპანია „მაესტრო“ სწორედ ამ მიზეზის გამო დატოვეს თანამშრომლებმა, რომლებმაც რუსეთის ინტერესების გატარებაზე უარი თქვეს.

რაში დასჭირდა რუსეთს და, ამ შემთხვევაში, „ფეესბეს“ კოტე გოგელია? გაზის განაწილების სქემაში „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ჩასმით, რუსეთმა ხელში სერიოზული ბერკეტი ჩაიგდო, — ამბობენ ამ ვერსიის ავტორები და საქართველოში „გაზის ომისა“ და უკრაინული სცენარის გათამაშებაზე მიანიშნებენ.

უკრაინის კრიზისი სწორედ „გაზპრომის“ დავალიანების არგადავადების გამო დაიწყო. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგობას იგრძნობს, თავისუფლად შეძლებს ქვეყანას გაზი გადაუკეტოს და მეტიც, საკუთარი იდეოლოგიის გამტარებელი ტელეკომპანია „მაესტროს“ საშუალებით, არეულობა დაიწყოს. მოკლედ, საქართველოში უკრაინული სცენარი გათამაშდება და ქვეყანა „ცისფერი ალის“ კი არა, ნამდვილ ცეცხლში გაეხვევა. ამ სცენარით, საქართველოს მთავრობა რუსეთმა ჩიხში მოაქცია, რადგან გავრცელებული ინფორმაციის ავტორების მოსაზრებით, „ყაზტრანსგაზთბილისის“ გამო ატეხილი დავა იმიტომ გადაწყდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსული გაზის ტრანზიტის სქემაში დამატებითი კომპანიის შემოყვანა არ დაებლოკა.

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში წარადგენს გაზსაცავის მშენებლობის გეგმას, რაც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში შედის. საქართველოში მოვლენების უკრაინული სცენარის გათამაშების ავტორები კახა კალაძის ამ განცხადებას დამატებით არგუმენტად მიიჩნევენ, რათა საკუთარი პოზიცია კიდევ უფრო მეტად გაამყარონ. ისინი თვლიან, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ბერკეტი დარჩა და ეს გაზსაცავის მშენებლობაა, რასაც კრიზისის დროს ანუ იმ შემთხვევაში გამოიყენებს, თუკი რუსეთი გაზს გადაგვიკეტავს.

დაუშვებს თუ არა აშშ და ევროკავშირი საქართველოში უკრაინის სცენარს? საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები რუსეთის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, თავდაცვის ექსმინისტრს, ირაკლი ალასანიასა და მის პარტიას გამოიყენებენ, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებს“, რუსეთის წინააღმდეგ რესპუბლიკელები და რებრენდირებული ნაციონალებიც შეუერთდნენ. სწორედ ეს სამი პოლიტიკური სუბიექტი იქნება ის რეალური ძალა, რომელზე ფსონსაც აშშ და ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ დადებენ.

საქართველოში უკრაინული სცენარი გამორიცხულია!

„ვერსიამ“ ეს ვერსიები, როგორც ზემოთ ვთქვით, კარგად ინფორმირებულ და რუსეთიდან საქართველოში გაზის ტრანზიტის სქემაში გათვითცნობიერებულ ექსპერტებთან გადაამოწმა. „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, საქართველოში უკრაინის სცენარი არ გათამაშდება და ამას რამდენიმე, საკმაოდ მყარი არგუმენტი აქვს:

არგუმენტი №1: რუსული „გაზპრომი“ კატეგორიულად არ დაუშვებს, რომ გაზის ტრანზიტის სქემაში სხვა, თუნდაც „ფეესბეს“ მიერ ლობირებული კომპანია ჩასვას. საამისოდ „გაზრომს“ შვილობილი კომპანიები, განსაკუთრებით კი, „გაზექსპორტი“ ჰყავს. შესაბამისად, თუ „ყაზტრანსგაზთბილისმა“ თბილისში მაინც და მაინც რუსული გაზი უნდა გაანაწილოს, ამას „გაზპრომი“ საკუთარი შვილობილის, „გაზექსპორტის“ საშუალებით განახორციელებს და რუსეთიდან საქართველოს საზღვრამდე ბუნებრივ აირსაც „გაზექსპორტი“ შემოიტანს.

არგუმენტი №2: რუსული გაზის ტრანზიტში კოტე გოგელიას ბიზნესინტერესის გათვალისწინება, „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა რეალური, თუკი საქართველოს ხელისუფლება რუსულ „გაზპრომს“ დაარწმუნებდა და შუამავალ კომპანიას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე დაუშვებდა. მარტივად რომ ავხსნათ, საქართველოს საზღვრამდე ბუნებრივ აირს „გაზექსპორტი“ მოიტანდა, ქვეყნის ტერიტორიაზე, ანუ საქართველოს საზღვრიდან გაზის ტრანზიტში კი კოტე გოგელიას კომპანია ჩაჯდებოდა, რომელიც ბუნებრივ აირს საზღვრიდან „ყაზტრანსგაზთბილისს“ მიაწვდიდა. ეს უკანასკნელი კი თბილისის მოსახლეობას გაუნაწილებდა, თუმცა „ვერსიის“ წყაროები ამ ერთადერთ შესაძლებლობასაც კატეგორიულად გამორიცხავენ, რადგან 2001 წლიდან, გაზის ტრანზიტის სქემიდან ამ ტიპის შუამავალი რგოლი ამოვარდნილია და მაშინდელი ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით, ამ ფუნქციას გაზის ტრანსპორტირების კომპანია ითავსებს, რომელიც სახელმწიფოს მიერაა შექმნილი და შესაბამისად, ბუნებრივი აირის ტრანზიტის სქემაში ყოველგვარი შუამავალი რგოლის არსებობა დაუშვებელია!

არგუმენტი №3: ერთადერთი კომპანია, რომელსაც ბუნებრივი აირი საქართველოს საზღვრამდე მოაქვს, აზერბაიჯანული „სოკარია“. ოღონდ, ამ კომპანიას საქართველოში რუსული კი არა, აზერბაიჯანული გაზი შემოაქვს და რაც მთავარია, არა — რუსეთ-საქართველოს, არამედ აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრამდე! „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, „სოკარი“ არ დაუშვებს, რომ „გაზპრომისა“ და „გაზექსპორტის“ გარდა, თუნდაც „ფეესბეს“ პროტექციით, თანაც სავარაუდოდ გოგელიას მიერ სახელდახელოდ შექმნილი კომპანია, რუსული გაზის საქართველოს საზღვრამდე ტრანზიტის სქემაში ჩასვას!

არგუმენტი №4: რაში სჭირდება „ფეესბეს“ საქართველოში კოტე გოგელიას კომპანია რუსული ფულის გასათეთრებლად, როდესაც თბილისის შუაგულში, „თელასის“ მფლობელი „ინტერრაო“ ჰყავს? გარდა ამისა, გაზის ტრაზიტის სქემაში სახელდახელოდ შექმნილი შუამავალი კომპანიის მონაწილეობა იმიტომაცაა გამორიცხული, რომ რუსეთს საქართველოში ბუნებრივი აირის განაწილების სერიოზული, მასშტაბური და კომერციული ინტერესი არ აქვს. ფაქტობრივად, თბილისის გარდა, საქართველოს რეგიონებს ბუნებრივი აირით აზერბაიჯანული „სოკარი“ ამარაგებს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, საერთაშორისო კომპანია „იტერა“ შეიძინა. მართალია, „იტერა“ ტრანსნაციონალური კომპანიაა, მაგრამ ისიც „გაზპრომის“ ერთ-ერთ შვილობილ კომპანიად ითვლება. მოკლედ, თბილისს გაზს „ყაზტრანგაზთბილისი“, ხოლო დანარჩენ საქართველოს ანუ შედარებით დიდ ნაწილს „სოკარი“ აწვდის. აქედან გამომდინარე, რუსული გაზის მოცულობა, რომელიც თბილისელებმა უნდა მოიხმარონ, ისეთი მასშტაბური არ არის, რუსეთს რაიმე ტიპის კომერციული ინტერესი ჰქონდეს.

არგუმენტი №5: „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, უკრაინული სცენარი საქართველოში თუნდაც იმიტომ არ განმეორდება, რომ ეს ეტაპი ჩვენმა ქვეყანამ 20 წლის წინ უკვე გაიარა და ტერიტორიებიც დაკარგა. რაც მთავარია, უკრაინაში „გაზის ომი“ იმიტომ დაიწყო, რომ „გაზპრომის“ საშუალებით, რუსული გაზი ევროპაში სწორედ უკრაინიდან გადიოდა. რაც მთავარია, რუსეთს ყირიმის შეერთება უნდოდა და მთავარი მიზეზი ეს იყო. საქართველოში მსგავს სცენარს კი აშშ და ინგლისი არ დაუშვებს, რადგან „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „შაჰდენიზი-თბილისი-ერზერუმის“ გაზის პროექტები ის რეალური ფარია, რომლებიც ჩვენს ქვეყანას უკრაინის მსგავსი კრიზისისგან დაიცავს!

„ვერსიის“ წყაროები გვიამბობენ, რომ აზერბაიჯანულ „სოკარს“ საქართველოში „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მმართველი, ბრიტანული „ბი პი“ არ მიატოვებს, ხოლო თურქეთი, რომელიც რუსეთთან ღია კონფრონტაციას ერიდება, რეალურად, რუსეთისვე ოპონენტად ითვლება. შესაბამისად, საქართველოში უფრო მეტია დასავლური და თუნდაც თურქული კომპანიების ინტერესები, ვიდრე უკრაინაში იყო — უკრაინული ბიზნესი კი, ძირითადად, რუსეთზეა მიბმული.

არგუმენტი №6: რაც შეეხება საქართველოში გაზსაცავის მშენებლობას, „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ ეს თემა იმიტომ წამოსწია, რომ ევროკავშირთან ხელმოწერილი და რატიფიცირებული ხელშეკრულებით, მთავარი მოთხოვნა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაა. მოკლედ, ენერგოუსაფრთხოების მიზნით, ევროკავშირი საქართველოსგან გაზასაცავის მშენებლობას ითხოვს. 2009 წელს, „მილენიუმის“ პროექტის მიხედვით, საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის შესახებ, ყველა საჭირო დოკუმენტის მომზადების პროცესი დაიწყო. ამ გაზსაცავის ტევადობა 450-500 მილიონი კუბური მეტრი უნდა ყოფილიყო და მისი მშენებლობისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი 2011 წელს მომზადდა კიდეც, თუმცა იმ პერიოდში, ნაციონალური მოძრაობის სამთავრობო კულუარებიდან ინფორმაციამ გამოჟონა, რომ გაზის ტრანზიტის, მიწოდებისა და განაწილების, მათ შორის, გაზსაცავის ფუნქციასაც, 2014 წლამდე, აზერბაიჯანული „სოკარი“ შეასრულებდა. ამიტომ, გაზსაცავის მშენებლობის იდეა ჩაიშალა. „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, გაზსაცავი, რომლის მშენებლობაზეც კახა კალაძე საუბრობდა, სამგორის საბადო ანუ „სამხრეთის თაღი“ იქნება, რომლის ტევადობა 200-300 მილიონი კუბური მეტრია. შესაბამისად, ასეთი მცირე მოცულობის გაზსაცავს კომერციული ინტერესი არ აქვს, გარდა იმისა, რომ კრიზისის შემთხვევაში, ამ გაზსაცავის მარაგი ქვეყანას დაახლოებით, ერთი თვე ეყოფა.

არგუმენტი №7: რა პროცესები ვითარდება ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ, რა შუაშია კოტე გოგელიას ბიზნესინტერესი გაზის ტრანზიტში“ და ვის დასჭირდა უკრაინული სცენარის სკანდალის აგორება საქართველოში? „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, ტელეკომპანია „მაესტროს“ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს, რადგან თანამშრომელთა დიდ ნაწილს ოქტომბერ-ნოემბრის ხელფასებიც კი არ აუღიათ. ტელეკომპანიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, კოტე გოგელიას „მაესტრო“ არაფერში სჭირდება და მის მოცილებას ცდილობს. ამიტომაც ვრცელდება სხვადასხვა სკანდალური ვერსია, რომ რეალური მიზეზები გადაიფაროს. მაგალითად, ერთ-ერთი ვერსიით, გაზის ტრანზიტის სქემაში დავით კეზერაშვილი გაჩნდება, რომელიც „მაესტროსაც“ იყიდის, რასაც „ვერსიის“ წყაროები კატეგორიულად უარყოფენ. კეზერაშვილის ინტერესის საპირისპიროდ, მისი მომხრეების ნაწილი, კოტე გოგელიას რუსულ ბიზნესინტერესებსა და უკრაინულ სცენარზე აკეთებენ აქცენტს, რაც ასევე, კატეგორიულად გამორიცხულია. სინამდვილეში, ეს ვერსიებიცა და ამხელა აურზაურიც კოტე გოგელიას აძლევს ხელს, ამ ქაოსში ის რეალური მყიდველი დამალოს, რომელსაც ტელეკომპანიას მიჰყიდის. „ვერსიის“ წყაროების ინფორმაციით, შესაძლოა, „მაესტრო“ რუსეთის ხელისუფლებისთვის მისაღებმა, მაგალითად, მიხეილ ხუბუტიას მსგავსმა პირმა იყიდოს.

ვინ არის კოტე გოგელია

კოტე გოგელია, კაპიტალი რუსეთში დააგროვა და რუსული „ფორბსის“ ვერსით, ქართველ ბიზნესმენთა რეიტინგში 55-ე ადგილზეა — მისი ქონება 50 000 000 აშშ დოლარადაა შეფასებული.

2010 წელს, ავსტრიის პოლიციამ „ქართული მაფიაზე“ სკანდალური დასკვნა გამოაქვეყნა, რასაც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაცია უძღოდა. იმ პერიოდში, სქელტანიანი ანგარიშის მცირე ფრაგმენტები ერთ-ერთმა გერმანულმა გაზეთმა გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, 2009 წელს, საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, „ქართული მაფია“ ფინანსურ რესურსს აგროვებდა. ავსტრიის პოლიციის დასკვნაში სამი პირი – რუდიკო გოგუაძე, ლაშა შუშანაშვილი და იგორ გიორგაძე დასახელდნენ.

დაკავებულთა შორის, 1990-იან წლებში, საქართველოდან გაქცეული რუდიკო გოგუაძეც აღმოჩნდა, თუმცა მასთან კავშირში მყოფი რამდენიმე პირი, სხვადასხვა გზით სასჯელს გადაურჩა. გადარჩენილთა შორის, სწორედ კოტე გოგელიას ასახელებდნენ, რომელმაც რუდიკო გოგუაძესთან საქმიანი ურთიერთობა 90-იან წლებში დაიწყო.

კოტე გოგელია ასპარეზზე 1991 წლის შემოდგომიდან გამოჩნდა — ამბობენ, რომ „მხედრიონის“, კონკრეტულად, „ვერის საძმოს“ წევრი იყო. ამ პერიოდში წამოიწყო გოგელიამ ნავთობის ბიზნესი და კომპანია „ჯორჯიან ტრანზოილი“ დააფუძნა, რომლის პრეზიდენტად რუდიკო გოგუაძე დანიშნა.

დასავლური პრესასი კოტე გოგელიასა და „კანონიერი ქურდის“, შაქრო კალაშოვის ფინანსურ კავშირებზეც წერდნენ. ისინი მაშინ დამეგობრდნენ, როდესაც გოგელია მოსკოვში ჩავიდა. „ქურდული ლობის“ საშუალებით, გოგელიამ მოახერხა, საკუთარი კაპიტალი 50 000 000 აშშ დოლარამდე გაეზარდა, შემდეგ კი საცხოვრებლად შვეიცარიაში გადავიდა. ამჟამად, კოტე გოგელია ფლობს კომპანია „პროგერტას“, რომლის ტერმინალები ნოვოროსიისკში მდებარეობს, მის საკუთრებაშია კომპანია „კომანდიტსერვისი“, რომელიც ქვანახშირს აწარმოებს. გოგელიასა და მისი სიძის, ზურაბ ფოცხვერიას (დის, ხათუნა გოგელიას მეუღლე) საკუთრებაშია რამდენიმე კაზინო რუსეთში. გოგელიას სიძე, ზურაბ ფოცხვერია „კანონიერი ქურდის“, ტარიელ ფოცხვერიას ახლო ნათესავია.

SOS!!! თბილისის ცენტრში ისტორიული შენობა ნადგურდება!!!

გიორგი იაშვილი

მაშინ როდესაც საყდრისი საბადოს გარშემო ატეხილი ხმაური არ წყდება და საზოგადოების გარკვეული ნაწილი გამალებით ითხოვს საბადოს გადარჩენას, თბილისის ცენტრში ისტორიულ შენობას თავზე გვანგრევენ. საუბარია პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე „სავანე №1 ღვინის ქარხანაზე“, რომელიც უნიკალურ ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს.

ხელისუფლების შეცვლის დღიდან აქციონერები ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას, თუმცა მათ ჯერ ვერ მოახერხეს სიმართლის დამტკიცება და დღემდე უწევთ ბრძოლა იმისთვის, რომ წართმეული ქონება დაიბრუნონ. სანამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მომწიფდება, „სავანე“ და უნიკალური მემკვიდრეობა ნადგურდება.

ისტორია ნაცნობი სცენარით განვითარდა:

სააქციო საზოგადოება „სავანე №1 ღვინის ქარხანა“ თბილისში, პეტრიაშვილის №1-ში მდებარე უძრავი ქონების მფლობელი იყო. დღეისთვის კი ეს ქონება წარმოადგენს მიმთვისებლების შპს „კატრის“ და მისი შვილობილი ორგანიზაციების საკუთრებას და მისი გადაცემა უკანონოდ განხორციელდა, უფრო სწორად კი ყაჩაღობის გზით. ამ საქმეში იკვეთება ყოფილი ხელისუფლების წარმომადგნლებისა და სამართალდამცავების სახელები. საბაბი სააკაშვილისთვის მარნის გაკეთება იყო. თაღლითური დაჯგუფების მსხვერპლი კი ამჯერად არა ქართველი, არამედ უცხოელი ინვესტორი აღმოჩნდა — პრამოდ მიტალი, რომელსაც საქართველოში ორმილიონიანი ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა, თუმცა, მარტივად რომ ვთქვათ, მას ქონება მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა „აახიეს“. კომპანიის დირექტორმა ჯორჯ კურტისმა ბევრჯერ მიმართა როგორც საქართველოს ყოფილ, ასევე ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სახალხო დამცველს, პროკურატურას, თუმცა პასუხი არ მიუღია და არც რეალური დახმარება აღმოუჩენიათ მისთვის.

ჯორჯ კურტისის პროკურატურისადმი გაგზავნილ წერილში აღწერილია პრამოდ მიტალის შეხვედრა იმხანად მოქმედ მინისტრ ნიკა გილაურთან; როგორც აღმოჩნდა, გილაურიც დაპირდა დახმარებას, მაგრამ უშედეგოდ. მიტალი სასტუმრო „თბილის მარიოტში“ ცხოვრობდა, ფოიეში მას ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატი ვლადიმერ კვარაცხელია და მიხეილ უგულავა დაეკონტაქტნენ. განუცხადეს, რომ ქარხანა მათ მფლობელობაში იყო, ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდათ და კანონიერების აღდგენის არანაირი შანსი არ არსებობდა. ამასთანავე დაემუქრნენ, რომ, თუკი მათთან შემდგომ მოლაპარაკებებზე უარს განაცხადებდა, დაკარგავდა არამარტო ქარხანას, არამედ ნავთობის ბლოკს და საქართველოში არც საქმიანობისა და არც გაჩერების საშუალებას არ მისცემდნენ. ამ საუბარს მიტალის იურიდიული მრჩეველიც შეესწრო, რომელმაც ურჩია, არ ჩარეულიყო კორუმპირებულ გარიგებაში. ამის შემდეგ ბიზნესმენმა ყველა სასამართლო პროცესი წააგო და გაუუქმდა ნავთობის კონცესიაც. იგი დღემდე აგრძელებს დავას და აპირებს, საქართველოს განახლებულ პროკურატურას მიმართოს დახმარებისთვის.

წერილიდან ირკვევა, რომ ღვინის ქარხანაში, პირდაპირი გაგებით, ვანდალიზმი ტრიალებდა; გატანილი იყო და ჯართში იყო ჩაბარებული ტექნიკა, უკვალოდ დაიკარგა ქარხნის დიდ სადეგუსტაციო დარბაზში არსებული ახლად ჩამოტანილი დანადგარები. მოპარული იყო ალკოპიპის დამამზადებელი ხაზი. გაქრა ქარხნის მიერ მიღებული ასობით დიპლომი და მედალი, საწყობში არსებული 200 000 აშშ დოლარის ღვინის პროდუქცია — იგი ან ადგილზე იყო დალეული ან წაღებული. ქარხნის ცოცხალი კუთხე მთლიანად განადგურებული იყო. დარბეული, გაპარტახებული იყო უცხოელ სპეციალისტთა საცხოვრებელი ბლოკი და ოფისები. გატანილი იყო ყველა ინვენტარი და პირადი ნივთი.

„დანაშაულებრივი ჯგუფის (მ. უგულავა, ვლადიმერ კვარაცხელია, გრიგოლია) ქმედების შედეგად „კაპიტალ მენეჯმენტ ინვესტმენტმა“ დაკარგა ქონება, „სავანე ღვინის №1 ქარხანამ“ და აქციონერებმა ვერ მიიღეს სამმილიონიანი კომპენსაცია, „იმპერიალ ჯორჯიან ვაინმა“ ვერ დაიბრუნა ჩადებული ინვესტიცია, არ დასაქმდა 1200 ადამიანი, ბიუჯეტმა ვერ მიიღო მილიონობით შემოსავალი აქციზისა და სხვა გადასახადების სახით, არ განხორციელდა 35-მილიონიანი ინვესტიცია საქართველოს მეღვინეობაში, გაიძარცვა და გაპარტახდა ღვინის საცავები. გაქურდულია ღვინის მარაგი, მიღებული და მითისებული იქნა დაახლოებით 13-მილიონიანი სესხი“, — ნათქვამია კურტისის წერილში.

როგორც წერილიდან ირკვევა, „საქართველოს ბანკის“ პრობლემური სესხების განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელი ზაზა გრიგოლია უშუალოდ მონაწილეობდა მოწმეთა დაშინებაში და ხალხის გატაცებაში. ბანკმა ბანკმა ერთ დღეში გასცა 12 მილიონის ოდენობის სესხი, რაც შეუძლებელია და ყველა კომერციული და ადმინისტრაციული ნორმის დარღვევაა. სესხის გაცემიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ბანკის მმართველი ვლადიმერ გურგენაძე დაწინაურდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ხოლო მაშინდელი პრემიერი ნიკოლოზ გილაური ბანკში ხელმძღვანელ თანამდებობაზე გადავიდა.

შანტაჟი, დაშინება, მუქარა, გატაცება და გაუპატიურების მცდელობა — ეს ის მეთოდებია, რომლის საშუალებითაც დანაშაულებრივი ჯგუფი მოქმედებდა.

„სავანეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ზურა მარგველაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მან მხოლოდ იმიტომ მოაწერა ხელი ქონების გადაცემას, რომ ღამით სახლში გამომძალველები დაადგნენ, რომლებიც საგამოძიებო ნაწილის უფროსთან, გიორგი ლაცაბიძესთან სატელეფონო კოორდინაციით მოქმედებდნენ. ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, მეუღლის გაუპატიურებით. ის სახლიდან გაიტაცა მიხეილ უგულავამ და შეიარაღებული ბანდის წევრებმა, საჯარო რეესტრში ღამის 12 საათზე მიიყვანეს, სადაც კომპანიის ბეჭედი წაართვეს.

მოწმე გიორგი მგალობლიშვილის წერილიდან ირკვევა, რომ მას მიხეილ უგულავა და ვლადიმერ კვარაცხელია ატერორებდნენ. სწორედ მიხელ უგულავას მითითებით, მოიტაცეს მისი 5 წლის შვილი და მძევლად აიყვანეს, მგალობლიშვილის მეუღლე კი საგურამოს ტყეში გაიტაცეს, არეკინებდნენ მგალობლიშვილთან, ატირებული მეუღლე სთხოვდა, ყველაფერი დაეთმო და წინააღმდეგობა არ გაეწია მათთვის. ეს ფაქტი 2007 წელს მოხდა.

ზვიად ქურდაძე ქარხნის ერთ-ერთი აქციონერი იყო, ამ თემაზე საუბარი ახლაც უჭირს და აღელვებს. ჩვენებაზე ხელი შანტაჟისა და ძალადობის გამო მოაწერა:

„ეს არის ისტორიული ძეგლი, რომელიც დღეს ინგრევა. დანგრეული და გაპარტახებულია. მე ვიყავი ერთ-ერთი დირექტორი და აქციონერი. პირადად ჩემზე ხორციელდებოდა ძალადობის ფაქტები. როდესაც ყოფილი პრეზიდენტი მიხელ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, დაიჭირეს ჩემი ძმა, ბუღალტერი, მეც მიჭერდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ვუთხარი ქონების გადაცემაზე.

— უფრო კონკრეტულად, რა მოხდა იმ ღამეს, როდესაც გაგიტაცეს?

— მიხეილ უგულავამ და ვლადიმერ კვარაცხელიამ პირადად მიმიყვანეს საჯარო რეესტრში, იქ იყო პროკურორიც. მაწამეს და ძალით გადამაფორმებინეს ქარხანა. ეს პირადად უგულავამ და მისმა ბანდამ ჩაიდინა. მიზეზი გვითხრეს, რომ იყო პრეზიდენტის დავალება. ჩვენს გარდა, უამრავი ადამიანი დაზარალდა, მათ შორის უცხოელი ინვესტორი — პრამოდ მიტალი, მილიარდელი, რომელიც აქ ინვესტიციების განხორციელებას გეგმავდა. მივმართეთ პროკურატურას, როგორც მაშინდელ, ასევე ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ დახმარება არავინ აღმოგვიჩინა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ ეს არის კულტურული ძეგლი, რომ მიხვიდეთ, ვერ იცნობთ, ყველაფერი დანგრეულია, იქ იყო ისტორიული ენოთეკა, სადაც ინახებოდა სტალინისდროინდელი ისტორიული ღვინოები. იყო უნიკალური კოლექცია, ყველაფერი გაანადგურეს. არც კი ვიცი, რაიმე თუ გადარჩა. ისეთი პერიოდი გამოიარა ამ ქარხანამ, მეეჭვება, რამე გადარჩენილიყო. უკვე მივმართე პროკურატურას, მიაქციოს ამ საქმეს ყურადღება და გამოიძიოს. აღდგეს სამართლიანობა. ის, რაც მოხდა, არის ყაჩაღობა და ქურდობა, არავის უნდა შერჩეს ასეთი ქცევა. მიკა უგულავამ და კვარაცხელიამ ჩაიდინეს ეს დანაშაული და პასუხი უნდა აგონ, პირველ რიგში, საზოგადოების წინაშე, ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი რომ გაანადგურეს“, — ამბობს ქურდაძე.

ალეკო ელისაშვილი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი:

— ეს იყო უძველესი საუფლისწულო ღვინის ქარხანა. აქ სამეფო კარისთვის მზადდებოდა ღვინო და იყო შესანიშნავი ენოთეკა. რა თქმა უნდა, ეს არის ისტორიული მემკვიდრეობა, თუმცა დღეს კერძო საკუთრებაშია. კულტურის სამინისტროსგანაც აქვთ ნებართვა, სამწუხაროდ. რა, გაუჭირდებოდათ ახლა ამ ნებართვის მიღება... სადაც ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საყდრისი ააფეთქებინა და ბულდოზერები მიუშვა, აქ რატომ შეიკავებდნენ თავს? ან რაში ენაღვლება ნიკოლოზ ანთიძეს ან მის მსგავს ტიპებს, ეს კულტურული ძეგლია თუ არა? რამდენადაც ვიცი, სურთ, ქარხნის ადგილას მასშტაბური პროექტი განახორციელონ. ვნახე თუ არა, რა ხდებოდა იქ, მაშინვე დავრეკე კულტურის სამინისტროში და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში, კატეგორიულად მოვთხოვე, ზედამხედველობის ჯგუფი მოსულიყო.

— იყო რაიმე რეაგირება მათი მხრიდან?

— მხოლოდ ის, რომ სამუშაოები გაჩერდა. არ გაგრძელებულა. თბილისის ძეგლებთან დაკავშირებით ცოტა გაუგებრობაა. ჯერ კიდევ კულტურის სამინისტროს ექვემდებარება თბილისის ძეგლები, უნდა გადმოეცეს თბილისის მერიას. მერიაში კი არანაირი შესაბამისი სტრუქტურა არ არსებობს.

— თქვენ ამბობთ, რომ ამ წუთებში სამუშაოები გაჩერებულია?

— იქ ხშირად მიწევს გავლა და აქტიური სამუშაოები აღარ მინახავს, არც მოსახლეობას დაურეკავს... ყოველთვის მირეკავენ ხოლმე. საშინლად გამოიყურება იქაურობა. მინდა, უფრო მეტად გავერკვე ვითარებაში და ამის შემდეგ უფრო გამიადვილდება, ვიმოქმედო.

ვერსიანიუსი

სავალუტო ფონდი საქართველოს 58.1 მლნ დოლარის ტრანშის ათვისების უფლებას აძლევს

სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოსთვის პროგრამის პირველი მიმოხილვა დაასრულა, რაც ქვეყანას 58.1 მილიონი დოლარის ოდენობის ტრანშის ათვისების უფლებას აძლევს.

ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე საფუძველს ასახელებს: ქვეყნის ფარგლებს გარედან მომდინარე გამოწვევების მიუხედავად, 2014 წელს საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარება შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ პროგრამას; მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5 პროცენტია და ის მიღწეული იქნება ძლიერი ადგილობრივი მოთხოვნითა და ფისკალური ექსპანსიით; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაფართოვდა მთლიანი შიდა პროდუქტის წილობრივად 8.5 პროცენტამდე. ეს მოსალოდნელიც იყო მიმდინარე წლის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების საფუძველზე; ინფლაციაც პროგრამის ფარგლებში შეთანხმებულ მაჩვენებელს შეესაბამება; პროგრამის საშუალოვადიანი ფისკალური კონსოლიდაციის სტრატეგია, ინფლაციის თარგეთირება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის პირობებში, გარე შოკებისადმი გაზრდილი გამძლეობა და გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა; სტრუქტურული რეფორმები არსებითია მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის; ხელისუფლება ფისკალური კორექტივების მხრივ ნაკისრი ვალდებულებების ერთგული რჩება. ეს დასტურდება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, რომელშიც მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში დეფიციტი მცირდება 3.0 პროცენტამდე; გაცვლითი კურსის მოქნილი რეჟიმი ქვეყანას დაეხმარება კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში, რადგან პარტნიორ ქვეყნებში გაცვლითი კურსი კორექტირდება; რისკების არსებობის მიუხედავად, ნავთობზე ფასების ბოლოდროინდელმა კლებამ შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური ზრდა და შეამციროს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი“, — ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ინტერპრესნუსი“

„ნაგავში ვცხოვრობთ და აქაც არ გვაჩერებენ!“

ყოფილ სამხედრო ჰოსპიტალში მცხოვრები დევნილები ალტერნატიულ ფართს ითხოვენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ისანში, ყოფილ სამხედრო ჰოსპიტალში მცხოვრები დევნილები და სოციალურად დაუცველები, ალტერნატიულ ფართს ითხოვენ. 250-მდე ოჯახმა უკვე მიიღო დევნილთა სამინისტროსგან გასახლების შესახებ მოწმობა, რომლის თანახმადაც შენობა უნდა დაიცალოს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ დევილებს დროებით გაიყვანენ და შენობის გარემონტების შემდეგ დააბრუნებენ. მანამდე კი, თითოეულ ოჯახს, სახელმწიფო, ქირის საფასურს, თვეში 300 ლარს გადაუხდის. ჰოსპიტლის მაცხოვრებლებს დაპირების არ სჯერათ და ამიტომ გადაკეტვაც კი სცადეს: **„შემოგვთავაზეს, სამი თვის განმავლობაში ქირისთვის 300 ლარს გადაგიხდითო. წარმოუდგენელია, ასე მოკლე დროში, ერთბაშად ამდენმა ადამიანმა ბინა ვიპოვოთ და ქირით გადავიდეთ. გვპირდებიან, სამი თვის მერე თბილისში ჩაწერილ დევნილებს აქვე დაგასახლებთ, რეგიონებში ჩაწერილებს კი — ვაზიანშიო. პირობები კარგია, მაგრამ არ გვჯერა, რომ დანაპირებს აასრულებენ, რადგან რამდენჯერმე მოგვატყუეს“.**

დევნილების თქმითვე, პოლიციამ ოქმზე ხელი მოაწერინათ, რომ გამოსახლების პროცესს არ შეაფერხებენ. „ვერსია“ რამდენიმე მათგანს გაესაუბრა:

მანონ აბრამიშვილი: „ამ ზამთარში მაინც დავეტოვებინეთ და მერე დაეწყოთ გამოსახლება! დავიღალეთ, მერამდენედ უნდა ავიყაროთ, ბავშვებიანად ქირით ბინაში ვინ შეგვიშვებს?“

მაია პაპიძე: „გვითხრან მაინც, სად უნდა წაგვიყვანონ; ჩვენი ბავშვები ორი წელია აქ დადიან სკოლაში და ასე, უცბად, სხვაგან ვინ მიიღებს?“

ქეთევან ჭეიშვილი: „საბოლოოდ, სად უნდა ვიცხოვროთ, რეალურ დაპირებას არავინ გვაძლევს. ქუჩაში გავათიოთ? ნახეთ, ისედაც რა პირობებში ვართ, ნაგავში ვცხოვრობთ და აქაც არ გვაჩერებენ“;

ლელა ხაჩიბაია: „გვითხრეს, ბინები სასწრაფოდ უნდა დატოვოთო. გადავკეტავთ გზებს, ბავშვებს რომ გადაუარონ, მაინც არ დავტოვებთ ბინას; აქედან არ გავალთ, რადგან ალტერნატიულ ფართს არ გვთავაზობენ“;

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი ამბობს, რომ ჰოსპიტალში მცხოვრებ ყველა დევნილს დაწერილი აქვს განცხადება, ისინი ქირით გავლენ, რის შემდეგაც სამინისტრო შენობას გაარემონტებს და გარემონტებულ შენობაში დაბრუნდებიან. სუბარის თქმითვე, ჰოსპიტლიდან გამოსახლებას ერთი დევნილიც არ აპროტესტებს: **„ყოფილ სამხედრო ჰოსპიტალში მცხოვრებ ყველა დევნილთან ინდივიდუალურად ვიმუშავებთ. მათ განცხადება დაწერეს და თანახმა არიან გავიდნენ ქირით, რადგან ეს შენობა უსაშინლეს მდგომარეობაშია. გამოსახლებას ვინც აპროტესტებს, დევნილი არაა. ისინი უმრავლეს შემთხვევაში სოციალურად დაუცველები არიან, რომლებიც შეიჭრნენ ამ შენობაში“.**

მინისტრის განმარტებით, დევნილებს ქირის თანხას დევნილთა სამინისტრო დაუფარავს. სოციალურად დაუცველების შემთხვევაში კი, გამოსავალს დედაქალაქის მერია იპოვის.

დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებაში მომზადდა სამხედრო ჰოსპიტლის რეაბილიტაციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (მოცულობა — 4,2 მილიონი ლარი). პროექტის განხორციელების შემდეგ, ამ ობიექტზე დევნილებს 160 ბინა გადაეცემა.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი თბილისის მერიასა და ისნის რაიონის გამგეობას მოუწოდებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების უსახლკარობის ფაქტი შეისწავლონ და დაეხმარონ. ომბუდსმენის განცხადებით, აუცილებელია, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ მოლაპარაკებები გააგრძელოს იმ დევნილებთან, რომლებიც ამ ეტაპზე შენობის დატოვებაზე უარს აცხადებენ, რათა პროცესი კანონის დაცვით განხორციელდეს.



თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს დეპუტატები და საზოგადოების წარმომადგენლები თავდებში უდგებიან

თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირების ადვოკატების თქმით, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით შუამდგომლობას სასამართლოში უახლოეს პერიოდში წარადგენენ. დაკავებულებს თავდებში 37 პირი უდგება. დეპუტატებს შორის არიან როგორც „თავისუფალი დემოკრატები“, ასევე რესპუბლიკელების და ეროვნული ფორუმის წევრები.

დაკავებულებს თავდებში უდგებიან: ელდარ შენგელაია, ვახტანგ კახიძე, ჯემალ სეფიაშვილი, ზურაბ აბაშიძე, ანი მიროტაძე, შალვა კიკნაველიძე, ვიქტორ დოლიძე, ირაკლი ჩიქოვანი, თამაზ შიოშვილი, თემურ მაისურაძე, მალხაზ ვახტანგაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ნოდარ ებანოიძე, თინა ხიდაშელი, დავით ბერძენიშვილი, გიგლა აგულაშვილი, დავით ონოფრიშვილი, გია ცაგარეიშვილი, ნინო გოგუაძე, შალვა შავგულიძე.

ბრალდებულთა მიმართ პატიმრობის არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიებით შეცვლის თაობაზე განცხადებას ხელს აწერენ: რატი ამაღლობელი, დავით მაღრაძე, გიორგი ხოშტარია, ნიკოლოზ რაჭველი, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, კოტე ჯანდიერი, გია ყარყარაშვილი, თემურ ნანუაშვილი, მამუკა მიქელაძე, რომან შაქარიშვილი, ლალი ჩიკვაიძე, ნანა შონია, ბასა და თამარ ფოცხიშვილები, მიხეილ ყაველაშვილი და თამაზ ჯოლოგუა.

კანონით გათვალისწინებული პროცედურების შემდეგ, დაკავებულთა გათავისუფლების შუამდგომლობით ადვოკატები სასამართლოს უახლოეს პერიოდში მიმართავენ და იმედოვნებენ, რომ მათი შუამდგომლობა დაკმაყოფილდება.

მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები 28 ოქტომბერს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მათ ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვა ედებათ.

„ინტერპრესნიუსი“

„მწვანე მუშტი“ პოლიტიკურ პარტიებთან კავშირს უარყოფს

სტუდენტური მოძრაობა „მწვანე მუშტი“ აცხადებს, რომ ეს მოძრაობა დამოუკიდებელია და არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან კავშირი არ აქვს.

„გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ მოძრაობას არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან კავშირი არ აქვს. ვემიჯნებით აბსოლუტურად ყველას. „მწვანე მუშტი“ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი მოძრაობა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს არც პოლიტიკურ პარტიებთან, არც სხვა რაიმე ორგანიზაციასთან“, — აღნიშნა „მწვანე მუშტის“ წარმომადგენელმა ნიკოლოზ წიქარიძემ.

მოძრაობის წევრები ყურადღებას საყდრისთან დაკავშირებულ საკითხზეც ამახვილებენ და ამ მიმართულებით რამდენიმე პრობლემას გამოყოფენ.

„საყდრისს ვუყურებთ, როგორც ეკოლოგიურად, სოციალურად ასევე კულტურული მემკვიდრეობის მხრიდან. საყდრისი ჩვენთვის არ არის მხოლოდ ძეგლი. აქ არის მთლიანად კომპლექსური პრობლემა. სამი თემაა გამოხატული — ბინძურდება გარემო, ადამიანები იჩაგრებიან და კულტურული მემკვიდრეობა ნადგურდება, შემოსავალი არაფერი არ არის“, — აღნიშნა ნიკოლოზ წიქარიძემ.

„ინტერპრესნუსი“

ვერსიანიუსი

მოსკოვსა და ცხინვალს შორის ე.წ. შეთანხმება სპეცსამსახურების გაერთიანებასაც ითვალისწინებს

არსებული ინფორმაციით, ე.წ. შეთანხმების თანახმად, ასევე იგეგმება რუსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ინსტიტუტების ინტეგრაცია, ასევე არმიისა და ძალოვანი სტრუქტურების გაერთიანება.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურები რუსეთის ძალოვან სტრუქტურებს შეუერთდება. ე.წ. შეთანხმების თანახმად, გაუქმდება ე.წ. სასაზღვრო-გამშვები პუნქტები და საბაჟო კონტროლი და ხალხის გადაადგილება და ტვირთის მოძრაობა თავისუფლად იქნება შესაძლებელი. ამავე შეთანხმებით, სახელმწიფო მოხელეების ხელფასი, პენსიები და დახმარებები რუსეთში არსებულ ხელფასებისა და პენსიების დონეს გაუტოლდება.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბორის ჩოჩიევმა დაადასტურა, რომ შეთანხმების ასეთი ვარიანტი არსებობს, თუმცა 27 დეკემბრამდე, როდესაც ცხინვალში პოლიტსაბჭო შეიკრიბება, შესაძლოა შეთანხმებაში ცვლილებები შევიდეს.

რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის შეთანხმების გაფორმება 2015 წლის იანვრისთვის იგეგმება.

„ინტერპრესნიუსი“

„კაზიოლი“ რუსთავის №17 დაწესებულებიდან, რომელმაც ფეხი გაიპარსა და ნათია დაირქვა

პატიმარი №0578

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელია. თავად განსაჯეთ: ერთ დღეში კარგავ ყველაფერს და ყველაფერი ეს ერთი სიტყვით გამოიხატება — თავისუფლება. ირგვლივ ახლობელი ადამიანები აღარ არიან, შენ არ წყვეტ, როდის დაიძინო, გაიღვიძო, ჭამო... ციხისგან განსხვავებით, სადაც წინა ხელისუფლების დროს სასტიკი რეჟიმი იყო და სიგიჟემდე ნაბიჯი გაშორებდა, ზონაზე შედარებით მეტი თავისუფლებაა, იქ გარეთ მაინც გადიხარ, სუფთა ჰაერს ყლაპავ, მთლიან ცას ხედავ და არა — გისოსებიდან დანახულ დაკლეტკილ სამყაროს. სამაგიეროდ, ზონაზე ან თავად უნდა იყო შენი თავის პატრონი, ან სხვა გპატრონობდეს, თორემ კრიმინალური სამყარო ჩაგყლაპავს და მოგინელებს. ყველაფერ ამას ვიღაც უძლებს, ვიღაც — ვერა და არეული ტვინი ათას სისულელეზე ფიქრობს.

რუსთავის №17 დაწესებულებას მეორე დღე იყო, ახალი მაყურებელი ჰყავდა. ნომერ მეორე საკანში მთელი ზონის ბლატატა იყო შეკრებილი და ჩაის წრუპავდა, ახალ მაყურებელს ხოტბას ასხამდა და ულოცავდა. იქვე იყო პატიმარი №0578, რომელიც ოდნავ დამცინავი ღიმილით ათვალიერებდა ე.წ. კაიბიჭებს და პერიოდულად მაყურებელს თვალს უკრავდა. ის სიცილს ძლივს იკავებდა და ბავშვობის მეგობარს უხმოდ ტუქსავდა. ამ დროს საკანში ე.წ. კაზიოლების მაყურებელი, მეტსახელად „თაგვია“ შემოვიდა.

„შარში ვართ. ერთ-ერთმა „კაზიოლმა“ გარეკა, არ ვიცი, რა ვქნა, თქვენი დახმარება მჭირდება“, — ერთი ამოსუნთქვით თქვა „თაგვიამ“.

„შენ, მერე, ბრიგადირად და მთავარ კაზიოლად იმიტომ ხარ, რომ მასეთი ამბები მოაგვარო და ყველა პრობლემაზე აქ არ ირბინო. გასაგებია, ბიჭო?!“ — შეუტია ქუთაისის რეგიონის მაყურებელმა.

„მომისმინეთ, არ მინდა იმის შეხსენება დღეში ათჯერ, რომ კაზიოლების ბრიგადირი ვარ. ეს ისედაც ვიცი. რაც შეეხება პრობლემას, ერთ-ერთმა კაზიოლმა გუშინ ფეხები გაიპარსა, ტანიც გაიპარსა და გამოაცხადა, ნათია დამიძახეთო. ეს, იცით, რას ნიშნავს? — გარეკა ტიპმა და ორი ვარიანტია, ან რამე უნდა მოვიფიქროთ და ისევ ჩემს კამერაში დავტოვოთ, ან საქათმეში უნდა გავუშვათ. საქათმეში კი მაყურებლის გარეშე ვერავის გავუშვებ“, — გააგრძელა „თაგვიამ“.

„დაუძახე, აქ მოვიდეს, დაველაპარაკები“, — თქვა ზონის მაყურებელმა.

„მინდოდა, მომეყვანა, მაგრამ უარს ამბობს. კამერიდანაც გამექცა, ახლა ოფიცრების ოთახთან დგას და ეხვეწება, ნათია ვარ, საქათმეში წამიყვანეთო, ისინი კიდევ შენს ვერდიქტს ელიან“, — უთხრა „თაგვიამ“.

„უნდა საქათმეში და წავიდეს. რომ დაუმსგავსებენ ერთ ადგილს გამოლაგებულ ზალას, მერე მიხვდება, სად მოხვდა“, — გაეღიმა ერთ-ერთ კაიბიჭს.

„ასე მარტივად საქათმეში კაცს ვერ გავუშვებ. გარეკილი აქვს, აშკარაა. უნდა დაველაპარაკოთ. შენ წამომყევი, თუ მე არ დამიჯერებს, შენ დაელაპარაკები. სენტიმენტალური ბაზარი და მაღალფარდოვანი სიტყვები მე არ შემიძლია“, — უთხრა მაყურებელმა №0578-ს და „თაგვიასთან“ ერთად ორივე კამერიდან გავიდა.

„ხომ მაგარი სიტყვა დავამუღამე?! — სენტიმენტალური ბაზარი. წინა დღეს მაია ასათიანს წამოსცდა თავის შოუში და იქიდან ავიღე“, — გაეღიმა მაყურებელს.

„და იცი, რას ნიშნავს?!“ — ღიმილით ჰკითხა №0578-მა.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონში როგორ არის, იცი? გონებას კი არა, გრძნობას ენიჭება უპირატესობაო. ჰოდა, სად მაქვს გრძნობა. ისე, შეხედე, ნორმალურ ტიპს ჰგავს და რამ გაარეკინა?!“ — მაყურებელმა №0578 ოფიცრების ოთახთან მდგარი ბიჭისკენ გაახედა.

ოფიცრების ოთახთან საშუალოზე დაბალი, შავგვრემანი ბიჭი იდგა, რომელმაც მაყურებლის დანახვისთანავე პირი ოფიცრების ოთახისკენ იბრუნა და ხმამაღლა დაიძახა: „წამიყვანეთ, წამიყვანეთ-მეთქი“.

„რა ჰქვია?!“ — „თაგვიას“ ჰკითხა მაყურებელმა, მერე კი ბიჭს მიუბრუნდა, — „ვასო, წამოდი ჩემთან, კამერაში, საქმე მაქვს“.

„მე ნათია მქვია და უცხო ადამიანებს არ ველაპარაკები“, — ჩუმად თქვა ბიჭმა.

„კარგი, ჩემთან ვილაპარაკოთ, იქ გავარკვიოთ, რა მოხდა, საქათმეში წასვლას ყოველთვის მოასწრებ“, — დაუყვავა მაყურებელმა, მაგრამ ვასომ კატეგორიული უარი თქვა და ისევ ოფიცრების მხარეს გაიწია.

„ვინმე გაუშვი ექიმებთან, დამაწყნარებელი მოიტანონ, ამას მე მივხედავ. ის დამპალი ნარკომანი რომ არის, ლაშა, ჩემთან ამოიყვანე, კამერაში, ყველაზე სწრაფად და უმტკივნეულოდ ეგ შედის ვენაში“, — გადაულაპარაკა №0578-მა მაყურებელს, მერე კი, ყველასთვის მოულოდნელად, მაყურებელს ხელი კრა და იყვირა: „არ გესმის, შენ რომ არ მოგყვება ნათია. წადი და შენს საქმეს მიხედე. ჩემთან წამოდი, ამათ არ ენდო“, — მიუბრუნდა №0578 ვასო-ნათიას, ხელკავი გამოსდო, თუმცა ბიჭი გაურჩდა.

„შენ რა გინდა?!“

„არაფერი. სანამ დილის სმენა არ შეიცვლება, შენი პატრონი კაცი არ არის, საქათმეშიც არავინ წაგიყვანს. ორი საათი აქ ხომ არ იდგები?! ჩემთან ავიდეთ, კამერაში, ჩაი დავლიოთ. მერე სმენა შეიცვლება, მეც ჩამოგყვები და გაგაცილებ იმ შენს საოცნებო საქათმემდე, თან „თაგვიამ“ მითხრა, ფეხები გაიპარსაო და მაინტერესებს, როგორ გაქვს, აქ ხომ არ დაიწყებ გახდას“, — გაუღიმა №0578-მა.

ვასო-ნათია კამერისკენ ფრთხილი ნაბიჯით გაჰყვა. კაზიოლის კამერაში შეყვანას №0578-ის თანასაკნელები პირდაღებულები შეხვდნენ. პატიმარმა ერთი შეუბღვირა და ვასო-ნათია თავის ნარზე ჩამოსვა, ჩაი მოუდუღა, ვაფლი შესთავაზა და ამ დროს კარში თვალი ჰკიდა მაყურებელს, რომელსაც ერთ ხელში შპრიცი ეჭირა, მეორეში — მკლავზე გადასაჭერი ზონარი, გვერდით კი ზონაზე ყველაზე ცნობილი ნარკომანი ლაშა ედგა. რამდენიმე წამში №0578 ვასო-ნათიას ეცა და ნარზე დააგდო, მაყურებელი და კიდევ რამდენიმე ბიჭი კამერაში მაშინვე შემოცვივდნენ, ვასო-ნათიას ხელი გაუკავეს და ლაშამ წამებში შეუშხაპუნა დამაწყნარებელი ვენაში. ბიჭი მოეშვა და ცოტა ხნის შემდეგ დაიძინა.

„ახლა ეს თავის კამერაში ჩაათრიე, აზრზე მოსვლას რომ დაიწყებს, წყალში გახსნილი აზალეპტინი დაალევინეთ, ისევ რომ გაითიშოს და ასე, მინიმუმ, სამი დღე. საჭმელს ვერ შეჭამს, მაგრამ არ მოკვდება. ჯობია, სამი დღე იშიმშილოს, ვიდრე მთელი ცხოვრება ტრაკიდან გააძღონ“, — უთხრა მაყურებელმა „თაგვიას“ და ვასო-ნათია ათ წუთში წაიყვანეს.

ცოტა ხნის შემდეგ, „თაგვია“ №0578-ის კამერაში აბრუნდა, ნარზე ჩამოჯდა და პატიმარს ჩუმად უთხრა: „რჩევა მჭირდება შენი“.

„გადამრევ შენ. როგორც ვიცი, ქურდობა გინდოდა, ზედმეტად დიდი ავტორიტეტიც კი გქონდა, მერე რაღაც შეგეშალა და კაზლიატნიკში გაგიშვეს. ეჭვი მაქვს, ეგ შრამი, ლოყაზე რომ გაქვს, იმ შეცდომის ბრალია და ჩემგან რა რჩევა უნდა გინდოდეს ქურდისტოლა კაცს?!“ — გაეღიმა №0578-ს.

„არ მეხუმრება, მართლა რჩევა მინდა“, — მოიღუშა „თაგვია“.

„ერთი პირობით — შენ დეტალებში მომიყვები, რა შეგეშალა, რა მოხდა, როგორ მოხდა, მე კიდევ, რასაც მკითხავ, შევეცდები, პრადვინუტი რჩევა მოგცე. აბა, დაიწყე“, — უთხრა №0578-მა და მოსასმენად მოემზადა.

„მოყოლას მაინც ვაპირებდი, ისე არაფერი გამოვა. მოკლედ, ზონის მაყურებელი ვიყავი მეც. მაყურებელი კი არა, ვაზანზარებდი ზონას, თან ქურდების დროს. ახლა ქუთაისის რეგიონს ვინც უყურებს, კი იცი, მაგის ძმა ქურდია და მაშინ ზონაზე იჯდა. როცა ეს მოიყვანეს, ჩემი ჩაჩოჩება გადაწყვიტეს და მიზეზის ძებნა დამიწყეს. ეს უნდოდათ ზონის მაყურებლად. ქურდული „მამაო ჩვენოსავით“ ვიცი და „მამაო ჩვენო“ კიდევ ძალიან კარგად ვიცი. მოკლედ, ეს კატა-თაგვობანა სამ თვეს გაგრძელდა. ერთ დღეს, ქურდებმა ობშიაკის რვეული მომთხოვეს. მივიტანე და ღამე დაიტოვეს. მეორე დღეს დამიბარეს და დამატებითი ჩანაწერები იყო გაკეთებული, თითქოს ვიღაც ქუთაისელებმა, გრევის სახით, ზონაზე ოცი ათასი დოლარი შემოუშვეს. არადა, არ იყო ეგ ჩემი ჩანაწერი, არც ის 20 ათასი მოუტანია ვინმეს. ჰოდა, ის ქუთაისელები პირზე დამადგნენ, აქეთ, ქურდებმა საერთოდან ფულის მოპარვა დამაბრალეს და სახეზე დანა დამისვეს ნუ ბოზური შრამი რა. ჰოდა, ახლა კაზიოლების მაყურებელი მქვია, იმას კიდევ — რეგიონის. მაგის ძმა სვაბოდაზეა უკვე და ვერც ვერაფერს დავამტკიცებ. სულ ეს არის“, — დაასრულა მონოლოგი „თაგვიამ“.

„და ვერ ვხვდები, მე რა უნდა გირჩიო, თავად ამბობ, ვერაფერს შევცვლიო, შემისრულესო, დამთავრდაო“, — გაოცდა №0578.

„შენი რჩევა სხვა ამბავში მინდა. ქუთაისის რეგიონის მაყურებელი მუდმივად ცდილობს, დამამციროს და მდგომარეობიდან გამომიყვანოს. მაგას რომ ხელი დავარტყა, მერე უკვე კაზიოლებში კი არა, საქათმეში გამიშვებენ. არადა, ბაზარი რომ გავუხსნა, გავაფარჩაკებ, აზრზე არ არის არაფრის. იქნებ, ზონის მაყურებელს უთხრა როგორმე, შემეშვას. ვიცი, შენი ბავშვობის მეგობარია. თუ ვერ ეტყვი, როგორ მოვიქცე, ის მაინც მითხარი“, — „თაგვიამ“ თავი ჩაღუნა.

„მოდი, ჯერ იმ ვასოს თუ ნათიას მივხედოთ, მაყურებელს კი ყველაფერ ამას ლამაზ ფორმაში ვეტყვი, როცა მომენტი ჩამივარდება. ასე ღიად საუბარს ვერ დავუწყებ“, — უპასუხა №0578-მა და თაგვია კამერიდან გავიდა.

სამი დღის შემდეგ, ვასო-ნათია მაყურებლების კამერაში თავის ფეხით მივიდა. შიმშილს დაესუსტებინა, მაგრამ თვალებიდან ის უცნაური ბინდი სადღაც გამქრალიყო.

„აბა, როგორ ხარ, ნათია?!“ — ღიმილით ჰკითხა მაყურებელმა.

„ბოდიში, მეტს აღარ ვიზამ. არ ვიცი, რა დამემართა“, — თავი ჩაღუნა კაზიოლმა.

„წადი ახლა, საქმეს მიხედე. ისე, იცოდე, შენი ნერვები აქ არავის აქვს, მეორედ აურევ და მართლა საქათმეში გაიღვიძებ. „თაგვიას“ უთხარი, მოვიდეს“, — მკაცრად უთხრა მაყურებელმა.

თაგვია ერთ წუთში გამოჩნდა.

„შენ ამ კაცს რომ აბრუებ, წესიერი ვარო, შემისრულესო... იცი, მაგაზე რომ მოგეთხოვება?! ქურდებმა ბოზური შრამი დაგადეს და მაგას ასაჩივრებ?! შენ საქმეს მიხედე და თუ არ გინდა, ქუთაისის რეგიონის მაყურებელი გეკაიფოს, რომ დაინახავ, გაეცალე. თავად ხომ არ მოდის შენს კამერაში, ჰოდა შენც ერიდე“, — უთხრა მაყურებელმა და „თაგვია“ კამერიდან გავიდა.

„არ ხარ მართალი. შენც ხედავ, რომ იმ ქუთაისელს ზედმეტი მოსდის და ტვინს ქერავს. არ გამოვა მასე, არა“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

„მეც ვიცი, რომ ზედმეტი მოსდის, მაგრამ კაიბიჭს რა ვუთხრა, კაზიოლს ნუ ეკაიფები-თქო?! არ გამოვა ეგ ამბავი“, — ჩაილაპარაკა მაყურებელმა.

***

ამ საუბრიდან ერთი კვირის შემდეგ, „თაგვიას“ სამი წელი დაუმატეს და კრიტში გადაიყვანეს. მიზეზი მარტივი იყო — ერთ-ერთი პატიმარი მან ჯერ სასტიკად სცემა, მერე კი ნეკნებზე კუსტარულად დამზადებული დანა დაუსვა. ის „ერთ-ერთი პატიმარი“ ქუთაისის რეგიონის მაყურებელი იყო.

ვერსიანიუსი

ძალოვანებმა ტროტილი, ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს



შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული ხუსნი მ. ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ხელვაჩაურის რაიონში, ხოლო 1965 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნუგზარ ფ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით და 1940 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი აბდულ ფ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, ტარების და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ხელვაჩაურის რაიონში, ხუსნი მ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას ასაფეთქებელი ნივთიერებები ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 578 გრ ტროტილი, ასევე, 4 კგ და 344 გრამი ტროტილისა და გვარჯილის ნარევი, რომელიც ვარგისია გამოყენებისთვის. სამართალდამცველებმა აბდულ ფ-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის, საცხოვრებელი ბინის და პირადი ჩხრეკისას კუსტარულად დამზადებული რევოლვერი 7 საბრძოლო ვაზნით, საბჭოთა წარმოების, „ტოზ 8 ემ“-ის მოდელის კუსტარულად გადაჭრილი შაშხანა და ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 10,083 გრ გამომშრალი მარიხუანაა. ნუგზარ ფ-ს პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულია 14 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 23, 167 გრ გამომშრალი მარიხუანაა.

გამოძიება ხუსნი მ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), აბდულ ფ-ს მიმართ — ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, ტარების და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო ნუგზარ ფ-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

სუდოკუ

ადვილი

					2	1	7	
			4	1		2	9	
	1				6	5	4	
4		5					6	
	7	3				9	5	
	9					4		1
	6	1	8				2	
	5	2		6	3			
	4	7	2					

სტანდარტი

		7					2	
	9		3			1		5
1		5		7				
	1	4	9					
8	7		5		2		3	1
					7	6	4	
				2		4		9
9		1			8		6	
	2					5		

რთული

								7
8		2			7	3	6	
		4	8		3	2		1
3		8				6		
	2						3	
		1				7		2
4		6	1		2	5		
	7	5	9			8		4
1								

ექსპერტი

1	9				5	4		3
	3	4	2			7		
	2			9				
9		2			1			
			6			2		8
				2			7	
		1			4	8	5	
6		9	5				3	2

1. „საა-ხალწლო“ ფრანველი
2. აფრიკის დედამდინარე
3. მონეტის წინა მხარე
4. ქართული საესტრადო კოლექტივი
5. ქართული ტელექრხი
6. ფიზიკის ნაწილი, სწავლობს ბგერას
7. შვილის ან დის ქმარი
8. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ში
9. მათემატიკის ნაწილი
10. სასადილოების რიგი ძველ თბილისში
11. საჯდომი ნერვის ანთება
12. აშშ-ის შტატი
13. ვაზის ნაყოფი
14. პირი, რომელიც შელოცვებით მკურნალობს
15. ვალტერ სკოტის რომანი
16. ადამიანის მსგავსი ცხოველი
17. ნარკოტიკული ნივთიერება
18. ვაზების მწკრივი ვენახში
19. დარაჯი, მოთვალთვალე
20. იგრეკის „კოლეგა“
21. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
22. ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში
23. ჩინეთის ვალუტა
24. მდინარე ვაშინგტონში
25. გრიბოედოვის „... ჭკუისაგან“
26. ბედისწერის ქალღმერთი
27. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე
28. ისტ. მხარე სამხრეთ საქართვ.
29. ვულკანური მასა
30. მსუბუქი დაცინვა
31. შიშველი სხეული ფერწერაში
32. ცრუვარსკვლავიერი ობიექტი
33. ფინეთის თვითსახელწოდება
34. ძაფისებ. წანაზარდი ადამიანის თავზე
35. ტვირთის ასაწევი მექანიზმი
36. ამერიკელთა მეტსახელი
37. ძლიერი გაჯავრება, აღშფოთება
38. თამარ მეფის მამის სახელი
39. ინდოეთში გადასვლილი რუსი მხატვარი
40. ხურმის ჯიში, ჩვენებურად კარალიოკი
41. იგივეა, რაც იავნანა
42. თმის მცენარეული საღებავი
43. ვეტერანი ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი
44. „შევროლეს“ მოდელი
45. წყალსაცავი რაჭაში
46. შეკ. კონცნომრის გამეორების მითხოვნით
47. ევას III ვაჟი
48. ბილიარდ. ჯოხი
49. ღრმა და ბნელი ორმო
50. ჰოლივ. ლეგენდა ... ბრანდო
51. სტივენ სიგალის კინოროლი
52. მარადიული ქალაქი
53. ბიბლიური პატრიარქი
54. პუშკინის გადია
55. სოფელი ქედის რაიონში
56. მწვანილი
57. ჰიგიენური დაწესებულება
58. პირისახის ძვალი
59. ბნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
60. ისრაელის სახელმწიფო ენა
61. იტალიური ფიქვი

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	1	9	6	8	5	4	3	2
5	6	3	4	7	2	1	9	8
4	2	8	1	3	9	7	6	5
2	9	1	5	6	8	3	7	4
8	7	6	3	4	1	5	2	9
3	5	4	2	9	7	8	1	6
1	8	7	9	5	6	2	4	3
9	4	2	8	1	3	6	5	7
6	3	5	7	2	4	9	8	1

სტანდარტი

4	6	7	5	3	2	1	9	8
5	8	3	1	9	4	7	2	6
2	1	9	8	7	6	3	5	4
1	9	4	7	8	5	2	6	3
8	7	6	2	1	3	9	4	5
3	5	2	4	6	9	8	7	1
7	2	1	6	5	8	4	3	9
9	4	5	3	2	1	6	8	7
6	3	8	9	4	7	5	1	2

რთული

3	9	2	1	4	5	8	7	6
1	7	6	3	8	2	9	4	5
5	8	4	9	6	7	1	3	2
2	6	5	4	7	9	3	8	1
9	4	3	2	1	8	6	5	7
8	1	7	6	5	3	4	2	9
7	5	1	8	3	6	2	9	4
6	3	9	7	2	4	5	1	8
4	2	8	5	9	1	7	6	3

ექსპერტი

3	5	9	8	7	6	2	4	1
2	6	1	4	3	5	9	8	7
7	8	4	2	1	9	6	5	3
1	9	8	7	6	4	5	3	2
5	7	6	3	2	1	8	9	4
4	3	2	5	9	8	1	7	6
8	2	3	1	5	7	4	6	9
9	4	7	6	8	2	3	1	5
6	1	5	9	4	3	7	2	8

მე-10 გვერდი: 1. კავალერია; 2. სპიკერი; 3. კოლიბრი; 4. ვიეტნამი; 5. ლაიმი; 6. პინგვინი; 7. კონტრალტო; 8. როტა; 9. ალგეთი; 10. ოხშივარი; 11. დმანისი; 12. ნანეტი; 13. აშარი; 14. აშხაბადი; 15. ბონდი; 16. შეშა; 17. მახრა; 18. ვერა; 19. ალტი; 20. ალენ; 21. ლივ; 22. ზამში; 23. ტროა; 24. „ფაუსტი“; 25. მოჰერი; 26. სოი; 27. დოხიო; 28. აფსკი; 29. მიმი; 30. ჰუსარი; 31. სტოა; 32. ხიმე; 33. იარდი; 34. ტახი; 35. დნეპრი; 36. სკა; 37. აისბერგი; 38. მასისი; 39. ბრი; 40. იზაურა; 41. ოიდიპოსი; 42. ნიუ; 43. ორბიტა; 44. ემი; 45. სვია; 46. „ტიპო“; 47. იასირ; 48. ერესი; 49. სკივრი; 50. რინგი; 51. ადლი; 52. ნასაუ; 53. იტრიუმი; 54. სლავა; 55. კაი; 56. ლაბა; 57. ლეი; 58. დიტრიხი; 59. დია; 60. იერო; 61. სიო; 62. ნორისი; 63. რუპია; 64. სარმა; 65. ალტაი; 66. არშინი; 67. პუფი; 68. ფლავი; 69. ფაი; 70. ურა; 71. ვაი; 72. გერბი; 73. შარტრეზი; 74. ბიგ; 75. მაჩვი; 76. ლიბრა; 77. მიიო; 78. ტვი; 79. სოფა; 80. „ონა“; 81. ჩიპოლინო; 82. აბი; 83. კლიო; 84. ძუა; 85. ანიკა; 86. სიუ; 87. უნაბი; 88. რუ; 89. ბაგიო; 90. ლა.

მე-12 გვერდი: 1. სიზმარი; 2. იფიგენია; 3. მამონტი; 4. რურკი; 5. მასტიტი; 6. ავტოკეფალია; 7. ტიკი; 8. ტიტიკაკა; 9. ნიამორი; 10. სულავესი; 11. ოიდიუმი; 12. ბასლერი; 13. ეტიკეტი; 14. ორისაბა; 15. ანორაკი; 16. სკა; 17. კნუტი; 18. ტრიმარანი; 19. ბიონსე; 20. რკო; 21. ანტრე; 22. კიევი; 23. სადილი; 24. ერა; 25. წამი; 26. გოა; 27. კორიფე; 28. ვაუჩერი; 29. ლერწი; 30. წინანდალი; 31. მასტიფი; 32. ლამა; 33. არისა; 34. კაა; 35. ნესტო; 36. სკოპიე; 37. მოენე; 38. ნაია; 39. ასო; 40. საარი; 41. სმიტი; 42. რამპა; 43. დიახ; 44. ოდა; 45. კაკაბი; 46. აისი; 47. ტორი; 48. ფსოუ; 49. სული; 50. ნული; 51. დოჰა; 52. სიო; 53. სერი; 54. სი; 55. პალმირა; 56. პი; 57. ასამოა; 59. ასი; 59. ელი; 60. იოდლი; 61. მიოპია.

მსურველებს შოკოლადის აბაზანებს სთავაზობენ სჰოკოლადნიე

იაპონიაში ახალი მოდაა — საყვარელ ადამიანს უჩვეულო საჩუქარს, შოკოლადის აბაზანას ჩუქნიან. ტოკიოში მდებარე ერთ-ერთი სპა-სალონი კლიენტებს ნამდვილი შოკოლადით „უმასპინძლდება“. სალონის თანამშრომლები, ლამის ყოველდღე, მსურველებს სამ-სამ კილოგრამ ტკბილ, სქელ მასას ასხავენ. ასორტიმენტიც საკმაოდ დიდია — 25 სახეობა. კლიენტებს, მათი არჩევანის მიხედვით, ყავის, მწვანე ჩაის, ღვინისა და საკეს არომატში ახვევენ. აბაზანას ამატებენ მარილსა და სხვადასხვა არომატს, რომელიც წყალს არა მხოლოდ ფერს, არამედ სასიამოვნო სურნელსაც სძენს. აბაზანისთვის ნამდვილ შოკოლადს ვიყენებთ, რაც კლიენტებს ძალიან მოსწონთ, — ამბობს ერთ-ერთი თანამშრომელი. შოკოლადის სურნელი სხეულზე კარგა ხანს ნარჩუნდება, ამბობენ კმაყოფილი მომხმარებლები. მიიჩნევა, რომ შოკოლადი ძლიერი აფროდიზიაკია. ამიტომ იდეის ავტორები იმედოვნებენ, რომ მათი აბაზანები წყვილს ურთიერთობის განმტკიცებაში დაეხმარება. სალონში მსგავსი პროცედურები კვირაში ორჯერ ტარდება, მომსახურება კი დაახლოებით 27 დოლარი ღირს.

1. საგაზეთო წერილი
2. გამომწვარი ფერადი თიხა
3.ტრიგონომეტრიული ფუნქცია
4. „საბრძოლო მოქმედებათა თეატრი“
5. სითხის მარაგის შესანახი ნაგებობა
6. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
7.ამერიკელის დამცინავი მეტსახელი მექსიკაში
8.აკადემიით ცნობილი სოფელი თელავის რაიონში
9. ეშმაკი-არაბულად
10. მდინარე რუსეთში
11. მარადმწვანე დეკორატიული ბუჩქი
12. მდინარე ცენტრალურ აზიაში
13.დაქირავებული პირი სპექტაკლის წარმატების შესაქმნელად
14. თანამედროვე ექსცენტრიული ცეკვა
15. სასახლე ძველ ქართულში
16. მუსლიმანთა პილიგრიმობა მექაში
17. სამედიცინო პროცედურა
18. ბიბლიური მოსეს ძმა
19. ვიოლინოს წინაპარი
20.სოფიკოს კონორიოლი („რაც გინახავს, ველარ ნახავ“)
21. ჩეხური ავტომარკა
22.ბიბლიური სარას ეგვიპტელი მხევალი
23. ძვირფასი სარეწაო თევზი
24.უბედურების სიგნალი
25.ძვირფასბეწვიანი ცხოველი
26. შემოდგომის ხილი
27.სხვადასხვა ავტ. საუკეთესო ნაწარმოებთა კრებული
28. საავარძლისთვის ქსოვილისგან შეკერილი ჩამოსაცმელი
29. ქალაქი ქვემო ქართლში
30. ლომი სიმბას და ნალას ასული
31. დედალოსის ურჩი ვაჟი
32. ვენეციური ნავი
33. ღვთაებრივი მხსნელი
34. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
35. ტბა იტალიაში
36. ერთეულოვანი ვექტორი
37.აბრეშუმის ჭიის საყვარელი მცენარე
38.ათენელი გმირი, რომელმაც მოკლა მინოტაური
39. რაიმე საბუთის მეორე პირი
40. იგივეა, რაც იმედი
41. იგივეა, რაც შუშა
42.დაბლობი, ვაკე ადგილი
43.აფსაზთა თვითსახელწოდ.
44. სოფელი სენაკის რაიონში
45. მოუხარშავი ან შეუწველი
46. ქართული ანბანის V ასო
47. მკვახე ყურძენი
48. მეტად სწრაფად, მოულოდნელად
49. ცნობილი უელსელი ფეხბურთელი და მადრიდის „რეალის“ გარემარბი
50. მუსიკოსი ... ჯაგერი
51.სპარტელი კანონმდებელი
52.სახეებიანი მაქმანი
53.მისხეილ საკაშვილის საიცნებო ქალაქი
54. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
55. „მტირალა“ ხე
56. მუსლიმანთა სალანძღავი სიტყვა
57. ინფორმაციის ელემენტარული ერთეული
58. ჩინეთის ფულის ერთეული
59. ზედმიწევნითი სიზუსტის საზომი ხელსაწყო
60. იაპონური ავტომარკა
61.ინდოეთის მდინარეებში გავრცელებული წაწვეტებულდა გრძელდინგიანი ნიანგი
62. აზია-ევროპის გამყოფი ქედი
63. ათენის საფეხბურთო კლუბი
64. ქალაქი სირიაში
65. ფრანგი რომანტიკოსი პოეტი
66.მდინარე მისისიპის უდიდესი შენაკადი
67. რძიანი ყავა
68. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
69.ბარძაყის და წვივის შემაერთებელი სახსარი
70. ავიაკომპანია „...-ჯორჯია“
71. ფრანგი მსახიობი ანუკ ...
72. დახურულის საპირისპირო სიტყვა
73. მუსიკალური გამის V ნოტი
74.იაპონური თეატრი
75.ფაშისტთა რაკეტა
76. უგონო მდგომარეობა
77. აიშვარია ...
78. მონღოლი თავადი
79. საყანედ გაკაფული ტყე
80. თბილისის ერთ-ერთი მეტროსადგური
81. ორგანიზმში მოძრავი გამშვირვალე სითხე
82. გალაკტიონის ლექსი „მე და ...“
83.სუსტი, ერთნახადი არაყი
84. შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული საქმე
85.ყოფ. ნორვეგ. ფეხბურთელი ტორე ანდრე ...
86. ძვირფასი თვლებით შემკული ყელსაბამი
87. ლატვიის ეროვნული ვალუტა
88. საგანთა ჩამონათვალი



ტექსტის წამკითხველი შექმნეს

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც უამრავი ადამიანი დიდ დროს ატარებს ვირტუალურ სამყაროში, ელექტრონულ წიგნებსა და პლანშეტებთან, ცუდი მხედველობა, შესაძლოა, ძირითადი ნაკლი იყოს. თუმცა, ახალი ინსტრუმენტი, რომელიც ხმით კითხულობს ნებისმიერ ტექსტს, მომავალში უსინათლო ადამიანებს ზღვა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს. მოწყობილობის პროტოტიპი, რომელსაც FingerReader უწოდეს, აუდიო-ვიდეო პროგრამულ უზრუნველყოფას შეცვლის, რომელიც ხშირად შესაძლოა არაზუსტი იყოს და თანაც, ბევრი შეზღუდვა აქვს. მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის სწავლულების მიერ შემუშავებული მოწყობილობის პროტოტიპი ჯერ დასრულებული არ არის და კვლავ გაუმჯობესდება. თუმცა, უკვე ახლავე FingerReader შეცვლის ბრაილის შრიფტს, რომელსაც სულ უფრო ნაკლებად იყენებენ და უსინათლოებს აუდიო პროგრამებით ასწავლიან. ახალი მოწყობილობა უსინათლოებისა და სუსტი მხედველობის მქონეთათვის, შესაძლოა, თარჯიმნადაც გამოიყენონ, რაც სტუდენტებს ახალი ენის უკეთ შესწავლაში შეუწყობს ხელს.

სუდოკუ

ადვილი

5		6		8			1	
							5	
			5	1	4			
		1			7	9	3	
	3	2	1		9	6	8	
	6	9	2			1		
			8	2	1			
	2							
	7			6		5		8

სტანდარტი

	4	3			8			5
1		7		6		4		3
5			4				9	
		8		3		2		
	3				2			1
7		4		2		9		6
6			3			8	1	

რთული

							6	5
		3				2		
5		7			9	4		
	1			5	2			4
		2	1		7	8		
7			8	4			2	
		1	6			5		9
		9				1		
4	2							

ექსპერტი

					6	2	3	
	1	2	8		4			
	6	5						
							7	8
	4	1		3		5	2	
2	9							
						3	1	
			5		2	7	9	
	2	6	9					

მოწევა ადამიანს აზარმაცებს

ბრაზილიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისეთი მავნე ჩვევა, როგორიც სიგარეტის მოწევაა, ადამიანს აზარმაცებს. მარტივი კვლევების შედეგად სწვლულებმა შეძლეს დამტკიცება, რომ ის ადამიანები, ვინც ყოველდღიურად ნიკოტინის გარკვეულ დოზას იღებენ, ძალიან ცოტას მოძრაობენ და ურჩევნიათ სრულ განცხრომას მიეცნენ. ექსპერიმენტული კვლევევბისას, რომელიც თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა, 50 თავგამოდებული მწეველი და 60 არამწეველი სარგებლობდა ნაბიჯების მზომით, რამაც მკვლევარებს საშუალება მისცა, შესაბამისი დასკვნები გამოეტანათ. მინიმალური ინტერესი და მოძრაობის სურვილის არარსებობა გამოვლინდა იმ ადამიანებში, ვისი ფილტვებიც არასრულფასოვნად მუშაობდა. გამიკითხვებისას კი მწეველებმა ისიც აღნიშნეს, რომ ხშირად აქვთ გადაღლილობის შეგრძნება და საქმის კეთების უუნარობა, არამწეველებში კი მსგავსი მდგომარეობა არ შეინიშნებოდა.

ცოლის მაღალი ხელფასი ქორწინებას ამყარებს

ამერიკელი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ცოლის დიდი შემოსავალი არ ანგრევს ოჯახს, როგორც აქამდე გვიმტკიცებდნენ. პირიქით, ეს ფაქტი ამცირებს წყვილის დაშორების რისკს. ამ სფეროში არსებული კანონზომიერება დაახლოებით ასეთია: თუკი ცოლის ხელფასი 20%-ით აღემატება ქმრის შემოსავალს, მათი დაშორების ალბათობა 80%-ით მცირდება. ასეთი ციფრები გამოიყვანეს საკითხის შესწავლისას, რომლის დროსაც სპეციალისტები 4 ათასი ოჯახური წყვილის ურთიერთობას აკვირდებოდნენ. რაც უფრო მაღალი იყო ცოლის ხელფასი, მით მტკიცე აღმოჩნდა ქორწინება. შესაძლოა, მეუღლეების მაღალი შემოსავალი კაცებს მათთან დაშორების სურვილს უქრობს, — ვარაუდობენ ექსპერტები. ისინი აღნიშნავენ, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთაც პატარა ბავშვი ჰყავთ, საკუთარი სურვილის მიხედვით კი არა, აუცილებლობის გამო მუშაობენ. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მათაგან 30%-ზე მეტს დიასახლისობა სურდა, ყოველი 10 ქალიდან კი 6 არასრულ სამუშაო დღეს არჩევდა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეწამყვანს ლოგოპედის ფული გაუგზავნეს

ბრიტანული ტელეარხის, „ბი-ბი-სი“-ს ერთ-ერთი მაყურებელი ისე აღაშფოთა ჟურნალისტ სტეფ მაკგოვერნის ირლანდიურმა აქცენტმა, რომ მას ლოგოპედთან ვიზიტისთვის 20 გირვანქა სტერლინგი გაუგზავნა. „სპონსორმა“ ტელეწამყვანს ურჩია, მისი ფულით, „მეტყველების კორექციული თერაპიის კურსი“ გაიაროს . 32 წლის ჟურნალისტი აღიარებს, რომ ეს ფაქტი მისდამი ასეთი დამოკიდებულების პირველი შემთხვევა არ არის. მას შემდეგ, რაც არხზე დილის გადაცემის წაყვანა დავიწყე, ქუჩაში ბევრი ადამიანი მაჩერებდა და მეუბნებოდა, ასეთი საშინელი აქცენტით სამსახურში როგორ აგიყვანესო, — ამბობს სტეფი. თუმცა, ტელეწამყვანს საკუთარი აქცენტი არ მიაჩნია პრობლემად და არ ესმის, რატომ ამახვილებენ ამაზე ყურადღებას მაყურებლები.

სიცხეს სარკე გაგიზომავთ



იაპონურმა ელექტროტექნიკურმა კონცერნმა NEC უკონტაქტო თერმომეტრი შექმნა, რომელსაც ჩვეულებრივი, მაგიდის სარკის სახე აქვს. საკმარისია, ადამიანმა უბრალოდ, ჩაიხედოს ამ სარკეში, ისე, რომ არც კი შეეხოს მას და რამდენიმე წამში სარკის ზედაპირზე შედეგი — სხეულის ტემპერატურა გამოისახება. თუ სიცხე საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა, სარკე შემაშფოთებელ სიგნალსაც გამოსცემს. იაპონელ გამომგონებელთა აზრით, მათი ახალი ქმნილება შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის სწრაფად შემოწმებისთვის ნებისმიერ საზოგადოებრივ ადგილას. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება გრიპის ეპიდემიის დროს. კომპანია გეგმავს, წლეულს ასეთი ხუთი ათასზე მეტი სარკე-თერმომეტრი გაყიდოს, რომელსაც ორ ვარიანტად გამოუშვებს. მათი ფასიც, შესაბამისად, 98-და 120 ათასი იენი (დაახლოებით 1000 და 1400 დოლარი) იქნება.

„შანგრი ლა“-ში „ოქროს პერგამენტის“ გამარჯვებულები დაჯილდოვეს

24 დეკემბერს, საინფორმაციო სააგენტო GHN-ის (გენერალური დირექტრი გოჩა მირცხულავა, მთავარი რედაქტორი თემურ ჭუმბურიძე) ორგანიზებით, სამორინე „შანგრი ლა“-ში „ოქროს პერგამენტით“ დაჯილდოების მე-9 ცერემონიალი გაიმართა. საკონსულტაციო ჯგუფ GCG-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა 2 360 ადამიანმა მიიღო. სხვადასხვა ნომინაციაში დასახელდნენ კანდიდატები, რომლებიც სარეიტინგო გამოკითხვის საფუძველზე შეირჩნენ. ერთადერთი ნომინაცია „წლის ადამიანი“ იყო, სადაც ნებისმიერ რესპონდენტს შეეძლო, სასურველი კანდიდატურა დაესახელებინა.

წლევანდელი „ოქროს პერგამენტის“ გენერალური სპონსორი კაზინო „შანგრი ლა“ იყო, სპონსორები კი — „ოდისია პრომოუშენი“, ღვინის კომპანია „ვაზიანი“ და „სტილ ლაინი“. ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერები გახლდნენ: „რუსთავი 2“, რადიო „ფორტუნა“, გაზეთები — „პრემიერი“, „ვერსია“ და „ქართული სიტყვა“, ასევე, საინფორმაციო სააგენტო GHN და „მთავარი.ინფო“.

ნომინაციაში „2014 წლის უცხოური კომპანია“ „კარფურმა“ გაიმარჯვა. „წლის საუკეთესო ბრენდად“ „სმარტი“ აღიარეს; „წლის საუკეთესო კომპანიად“ კი — „საქართველოს ბანკი“.

„წლის წარმატებულ სპორტსმენად“ დასახელდა „საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები“. „2014 წლის ხელოვანი“ რეჟისორი გიორგი ოვაშვილი გახდა, რომელსაც „ოქროს პერგამენტი“ პუბლიცისტმა თაკო ჩარკვიანმა გადასცა.

„2014 წლის საუკეთესო პროექტად“ „ჩემი ცოლის დაქალები“ დასახელდა, რომელსაც პრიზი გაზეთ „ვერსიის“ დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა, მაია ფურცელაძემ გადასცა. „წლის საუკეთესო ბიზნესმენი“ კომპანია „ვისოლის“ მფლობელი, სოსო ფხაკაძე გახდა.

„2014 წლის უფლებადამცველად“ ლია მუხაშავრია აღიარეს. წლევანდელი „ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატი ჟურნალისტმა ოთარ ქირიამ გამოავლინა და ის სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ გახლავთ.

„ოქროს პერგამენტი“ ნომინაციისთვის „წლის ჟურნალისტი“, უკვე მეორედ, ინგა გრიგოლიასა და გიორგი გაბუნიას გადაეცათ.

2014 წლის პოლიტიკოსად, დავით უსუფაშვილი დასახელდა. წლის ადამიანად კი, უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლი, ალექსანდრე გრიგოლაშვილი, რომლის ხსოვნასაც დარბაზმა პატივი წუთიერი დუმილით მიაგო.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.